

კონსტანტინე ბრეგაძე
(საქართველო)

იდეოლოგიური დისკურსის ფუნქციონირება
ტოტალიტარული რეჟიმის ოფიციალურ ტექსტებში
(სტალინის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულის მასალების მიხედვით)¹¹

შესავალი

გამოკვლევაში სტალინის საიუბილეო კრებულის „60 წელი დიდი სტალინის დაბადებიდან“ (კრებული ... 1940) მასალებზე დაყრდნობით განალიზებულია, თუ როგორ ფუნქციონირებს ტოტალიტარული რეჟიმის დროს შედგენილ ოფიციალურ ტექსტებში იდეოლოგიური დისკურსი.

გამოკვლევის თეორიულ ბაზისად აღებულია მიშელ ფუკოს დისკურსის თეორია, რომელიც მან, უპირველეს ყოვლისა, გადმოსცა ნაშრომში „დისკურსის წყობა“ (*“L’ordre du discours”*) (Foucault 1972; Foucault 1974).

1. მ. ფუკოს დისკურსის თეორია

1.1 დისკურსის ცნების დეფინიცია ფუკოსთან

დისკურსის ცნებაში მ. ფუკო გულისხმობს:

„დისკურსი არის ელემენტების წყება, რომლებიც ერთიანი და საყოველთაო ძალაუფლების მექანიზმის ფარგლებში ოპერირებენ. ამიტომ, დისკურსში უნდა განვჭვრიტოთ მოვლენათა ჯაჭვი, მაგ., პოლიტიკურ მოვლენათა ჯაჭვი, სადაც ეს ელემენტები მოქმედებენ როგორც ძალაუფლების განხორციელების ბერკეტები. [...] ვინაიდან დისკურსი ძალაუფლების, დამორჩილების, კვალიფიცირებისა და დისკვალიფიცირების იარაღია, ის არის სწორედ ის ბერკეტი, რომლის გამოც გაჩაღებულია უმთავრესი ბრძოლა“ (Foucault 2002: 165; Foucault 2003: 595).²

ცხადია, ისმის კითხვა: რა „მასალითაა“ შედგენილი ეს დისკურსული ელემენტები, რომელთა საშუალებითაც პოლიტიკურ სივრცეში ხორციელდება ძალაუფლების განვრცობა, „დამორჩილება“, „კვალიფიცირება“ და „დისკვალიფიცირება“? თუკი გავითვალისწინებთ ფუკოსავე მითითებას, რომ

1 ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „სტალინის სახის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში“ – ხელშეკრულება DI-2016-47-ის ფარგლებში.

2 აქ და ყველგან მ. ფუკოს ნაშრომების გერმანული გამოცემებიდან თარგმანი ჩემია.

დისკურსი უპირველესად პოლიტიკური სივრცის ფარგლებში ოპერირებს და ეს სივრცე ინსტიტუციათა და სუბიექტთა საკომუნიკაციო სივრცეა, მაშინ ცხადია, რომ ამ დისკურსულ ელემენტთა მასალა a priori ენაა, რომ მათი გამომხატვის არხი სიტყვიერია. დისკურსი, უპირველესად, არის *თქმა*, *გამოთქმა*, ვერბალური გამომხატულება (Foucault 1974: 11, 12). დისკურსთა, გნებავთ, დისკურსულ ელემენტთა ერთობლიობა ქმნის ან ეპისტემეს, ან იდეოლოგიურ კონსტრუქტს ან პროპაგანდისტულ ტექსტს, ისინი წარმოუდგენელია ენობრივი დაფუძნებისა და ენობრივი გამომხატვის გარეშე. ამგვარად, ცოდნა, იდეოლოგია და პროპაგანდა, როგორც *ძალაუფლებრივი სისტემები („gouvernementalité“)*, იმთავითვე ენობრივი დისკურსებით, უფრო სწორედ, დისკურსული ენით ოპერირებენ:

„დისკურსი – და ამას ჩვენ კვლავ და კვლავ ისტორია გვასწავლის – მხოლოდ ის არ არის, რასაც ძალაუფლებისათვის ბრძოლა და ძალაუფლებრივი სისტემები *ენაში გადააქვს* (ხაზი ჩემია – კ. ბ.): ის პრინციპულად ისაა, რისთვისაც და რისი საშუალებითაც იბრძვიან; ის არის ძალაუფლება, რომლის დაუფლებისთვისაც ილტვიან“ (Foucault 1974: 8).

შესაბამისად, ეპისტემეს, იდეოლოგიისა და ცოდნის შემუშავებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი და ზუსტი დისკურსული ენის, ანუ ძალაუფლებრივი ენის შერჩევას. თავად პოლიტიკურ სივრცეში კი მიმდინარეობს მუშაობა სწორი და ზუსტი დისკურსული ენობრივი სტრატეგიისა და ტაქტიკის დამუშავებაზე, რათა მასებზე ძალაუფლების ზემოქმედება მაქსიმალურად ეფექტური იყოს.

ამგვარად, ფუკოს თანახმად, დისკურსი არის ძალაუფლების განხორციელების ენობრივი პრაქსისი, ან ენაში გაფორმებული ძალაუფლებრივი ქმედება, რომლის საფუძველზეც *სხვა* (თუნდაც *სხვა*, *უცხო* დისკურსი) კონტროლდება, მარგინალიზდება, გამოცალკევდება და შემდგომ უქმდება ან, უკეთეს შემთხვევაში, დისციპლინირდება, ანუ აღიზრდება:

ჩემი დებულებაა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში დისკურსის წარმოება კონტროლდება. ის შემდგომ გაიცხრილება და გადარჩეულ დისკურსს კონკრეტული პროცედურების მიხედვით კონკრეტული მიმართულება მიეცემა, რათა (*სხვა*) დისკურსიდან მომდინარე საფრთხეები და ძალმოსილება დაიბლოკოს, (*უცხო*) დისკურსის გამოვლინების მოულოდნელობა და განვრცობა ჩაიხშოს, მისი სახიფათო მატერიალურობა უკუგდებულ იქნას (Foucault 1974: 7).

შესაბამისად, ვიღებთ ვითარებას, როდესაც პოლიტიკურ სივრცეში მოცემულია დისკურსთა უსასრულო დაპირისპირებანი – ნიცშეს ანალოგიით თუ ვიტყვი, ამ სივრცეში მუდმივადაა დისკურსი დისკურსის წინააღმდეგ მიმართული. ვინაიდან პოლიტიკური სივრცე ეს არის ძალადობისა და ძალაუფლებისკენ პათოლოგიური სწრაფვის მარად ერთი და იგივე გამოვლინების სივრცე, ძალაუფლების ეფექტურად განვითარების ინსტრუმენტად და მექანიზმად აქ მუდმივად გამოყენებულია ენობრივი

დისკურსები, რომელთა საფუძველზეც „მეცნიერულად“, რაციონალურად, მიზანმიმართულად, მკვეთრად და მკაცრი სინტაგმატური წყობით გადმოცემულია/გამოხატულია/„გამოთქმულია“ ფუნდამენტური ლოგოცენტრისტული ნარატივიდან, ერთიანი იდეოლოგიური კონსტრუქტიდან თუ ტრადიციული ეპისტემედან მომდინარე პოლიტიკური თუ რელიგიური დამოძღვრა, აღზრდა, ფუკოს ანალოგიით თუ ვიტყვიტ – „პასტორალიზება“.

რომ შევაჯამოთ დისკურსის ფუკოსეული განმარტებანი, შეგვიძლია დავასკვნათ: ფუკოს მიხედვით, დისკურსი არის **ძალაუფლებრივი შინაარსის შემცველი ენობრივი ელემენტების თანმიმდევრული წყება, რომლის საფუძველზეც აღზევებული ძალაუფლებრივი სისტემები თუ გაბატონებული პოლიტიკური რეჟიმები (მათ შორის, ტოტალიტარული რეჟიმები), ერთი მხრივ, აკონტროლებენ მასებს და პოლიტიკურად აღზრდიან მათ, მეორე მხრივ, ანეიტრალებენ და აუქმებენ სხვა, უცხო, არასასურველ დისკურსებს.**¹

1.2. დისკურსის ფუნქციონირების მექანიზმები

მ. ფუკო იმთავითვე უსვამს ხაზს, რომ დისკურსის წარმოებისა და მისი კონტროლის წყარო კონკრეტული ინსტიტუციები და სისტემებია (Foucault 1974: 6), რაც ნიშნავს იმას, რომ დისკურსი იმთავითვე ვლინდება, როგორც ძალაუფლების მატარებელი მექანიზმი, რომლის საფუძველზეც უკუგდებული და განეიტრალებულია ის დისკურსები, რომლებიც გაბატონებული ინსტიტუციისა და სისტემის მიღმა მოქმედებენ. დომინანტი დისკურსის საფუძველზე კი ხორციელდება პროცედურები, რომელთა საშუალებითაც გაიცხრილება, ნეიტრალდება და უქმდება ანტიდისკურსები – ოპოზიციური, ან ალტერნატიული დისკურსები. ეს პროცედურებია:

- a) აკრძალვა,
- b) გამიჯვნა/იზოლირება/მარგინალიზება,
- c) სრული *ჭეშმარიტების* ფლობის მუდმივი ხაზგასმა („ნება ჭეშმარიტებისადმი“) (Foucault 1974: 7-15).

აკრძალვა ხორციელდება *ტაბუირებით*, რიტუალით ან სუბიექტისთვის საუბრის, აზრის გამოხატვის უფლების ჩამორთმევით, *მარგინალიზება* და *იზოლირება* კი – არასასურველის მდაბალი ხარისხის ფენომენად გამოცხადებით, მაგ., რომ ის ირაციონალურია, შეშლილია, მახინჯია, შეპყრობილია და მისთ. ამიტომ, ინსტიტუციონალურ დონეზე იქვე დგება ასეთი „სახიფათო“ ფენომენის საზოგადოებისაგან იზოლირებისა და მისი „გადამალვის“ საკითხი. აკრძალვისა და იზოლირების პროცედურები კი აქსიოლოგიურად ლეგიტიმირებულია იმით, რომ ინსტიტუციები საჯაროდ აცხადებენ – რაც აკრძალვის, მარგინალიზებისა და იზოლირების ობიექტია, მასში იმთავითვე არ მყოფობს ჭეშმარიტება, რომ იგი არანაირი ღირებულების შემცველი არაა (Foucault 1974: 7-15). ეს კი ნიშნავს იმას, რომ *ჭეშმარიტების* ფლობა („ნება ჭეშ-

მარიტებისადმი“) ინსტიტუციონალიზებულია, რომ *ჭეშმარიტებას a priori* ესა თუ ის პოლიტიკური, რელიგიური ან საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუცია ფლობს, ან აკუმულირებულია პოლიტიკური ბელადის პირველსაწყისისეულ ხატში:

„*ჭეშმარიტებისადმი ნება, ისევე როგორც გაცხრილვის სხვა მექანიზმები და სისტემები, ინსტიტუციონალურ ბაზისს ეფუძნება: ჭეშმარიტებისადმი ნება მუდმივად გაძლიერებული და განახლებულია მთელი რიგი საქმიანობით, როგორც არის პედაგოგია, წიგნის ბეჭდვისა და გამოცემის საქმე, ან გაძლიერებული და განახლებულია საბიბლიოთეკო, სწავლულთა საზოგადოებებისა და სამეცნიერო ლაბორატორიების სივრცეებში. ჭეშმარიტებისადმი ნება კიდევ უფრო ძლიერდება მაშინ, როდესაც შერჩეულია საზოგადოებისათვის ცოდნის მინოდების შესატყვისი მეთოდი და ფორმა: კერძოდ, ცოდნის მინოდების ფორმა აქ გულისხმობს, რომ ეს ცოდნა შემონმეებულია, შეფასებულია და შემდგომ დახარისხებული, გაფილტრული სახით მიეწოდება საზოგადოებას“ (Foucault 1974: 13).*

პოლიტიკური თვალსაზრისით კი ეს ნიშნავს იმას, რომ განათლება, მეცნიერება, ლიტერატურა და ა. შ. იმთავითვე პოლიტიზებულია, იდეოლოგიზებულია და დისკურსული (ანუ, ძალაუფლებრივი) ბუნებისაა: ჩამოთვლილი სფეროებიდან წამოსული ცოდნა ემსახურება ერთადერთ მიზანს, აზიაროს საზოგადოება აბსოლუტურ (პოლიტიკურ) *ჭეშმარიტებას*, პოლიტიკურად აღზარდოს და მწყემსოს იგი (სინამდვილეში კი საზოგადოებას ვუალირებული, გაფილტრული და, ამგვარად, ყალბი „ცოდნა“ მიეწოდება).

ამ ვითარებაში კი პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება *ენის დისციპლინირებას*, მორჯულებას, განრთვნას ყველა დონეზე – ლექსიკურ, სინტაქსურ და პრაგმატულ დონეებზე, რაც გულისხმობს *სწორ ენობრივ ერთეულთა შერჩევას*, მათ სწორ ფილტრაციას და *სწორ გამოთქმას*, რათა ენამ „დისკურსული პოლიციის“ (Foucault 1974: 25) ზედამხედველობის ქვეშ მიიღოს დისკურსული ბუნება: „*წინადადებაში გამოყენებულ უნდა იქნას ის ცნებითი და ტექნიკური ინსტრუმენტარიუმი, რომლებიც ზუსტად განსაზღვრულ ტიპს მიეკუთვნება“* (Foucault 1974: 23). ეს ნიშნავს იმას, რომ ენამ უნდა *თქვას, გამოთქვას მხოლოდ ის* („ზუსტად განსაზღვრული ტიპი“), რასაც მას კარნახობს ეპისტემე, იდეოლოგია ან ინსტიტუცია („დისკურსული პოლიცია“). შესაბამისად, ლექსიკური ერთეულები იღებენ *იკონურ* და *აქსიოლოგიურ* შინაარსს, ხოლო სინტაქსი იღებს *პასტორალურ*, ე. ი. აღმზრდელობით დატვირთვას. ასე კი ხორციელდება ენის *დოგმატიზება*, როდესაც ენობრივი ერთეულები (აღმნიშვნელები და აღსანიშნები) ლაგდება დიქტომიურ ჭრილში – *ღირებულებითისა და არაღირებულებითის* გამომხატველ პოზიციაში: *ღირებულებითია* ის აღმნიშვნელები და აღსანიშნები, რომლებიც დისკურსულადაა დეტერმინებული იდეოლოგიის მიერ და, შესაბამისად, აღნიშნავენ *ჭეშმარიტ მნიშვნელობებს* (მაგ., „ბელადი“, „ბოლშევიკი“, „კომუნისტური პარტია“, „რევოლუცია“, „პროლეტარიატი“ და ა. შ.), ხოლო *არაღირებულებითია* ის აღმნიშვნელები და აღსანიშნები,

რომლებიც გადმოსცემენ გაბატონებული იდეოლოგიის მიღმა არსებულ „მწვანელებლურ“ შინაარსებს (მაგ., „დემოკრატია“, „ბურჟუაზია“, „მენშევიკი“, „სოციალ-დემოკრატია“, „კაპიტალიზმი“ და ა. შ.). აქვე იკვეთება პრაგმატული მომენტიც: იდეოლოგიურად დეტერმინებული ენობრივი დიქტომიები სახელდების მომენტში იძენენ „მაგიურ“ დატვირთვას, კერძოდ, *ჭეშმარიტი* და *არაჭეშმარიტი* შინაარსის შემცველი აღმნიშვნელები და აღსანიშნები სახელდებისას *ზუსტად* მიუთითებენ, სადაა *ჭეშმარიტი* თუ *ყალბი* ღირებულებები და ასე ახორციელებენ რეციპიენტის იდეოლოგიზებული საყოველთაო მორალით, ანუ „ჯოგის მორალით“ („Herdenmoral“) (ნიცშე), საიმედო აღზრდას და „მონუსხვას“:

„[...] ყოველი აღმზრდელიობითი სისტემა ეყრდნობა და იყენებს პოლიტიკურ მეთოდებს, რომელთა საფუძველზე ცოდნა დისკურსთა მოთხოვნილებებს მიესადაგება, რომელთა საფუძველზეც ძალაუფლება შენარჩუნებული ან შეცვლილია. [...] და, საბოლოო ჯამში, რა არის აღმზრდელიობითი და საგანმანათლებლო სისტემა, თუ არ სიტყვის რიტუალიზება, მოლაპარაკე სუბიექტების კონკრეტული ფუნქციებით აღჭურვა და კონკრეტული დავალებით გამწესება, მათთვის ფიქსირებული სოციალ-პოლიტიკური როლების მინიჭება, დიფუზიური დოქტრინალური ჯგუფების შექმნა, დისკურსის დახარისხება-გადანაწილება და მათი აპრობირება ძალაუფლების განვრცობისა და ცოდნის გადაცემის ეფექტურობის თვალსაზრისით?!“ (Foucault 1974: 30, 31).

2. იდეოლოგიური დისკურსის აგების მექანიზმები სტალინის საიუბილეო კრებულში

ახლა განვიხილოთ, თუ რა მექანიზმების საფუძველზე ფუნქციონირებს დისკურსი სტატიებისა თუ მოხსენებების კრებულში, რომელიც სტალინის 60 წლის იუბილეს მიეძღვნა.

კრებულის პირველივე გვერდები, უფრო სწორად, თავფურცლები ზედმინევით ავლენენ იმ დისკურსულ თვისებებს, რაც მომდინარეობს ე. წ. „დისკურსული საზოგადოებებისაგან“ (Foucault 1974: 27),² შესაბამისად, მათში აკუმულირებული დოქტრინებიდან და მათ ფარგლებში მოქმედი ინსტიტუციებიდან: კერძოდ, იმთავითვე იკვეთება, რომ კრებული კონკრეტული ინსტიტუციის დაკვეთაა და ის მომზადდა ლინგვისტური სელექციის, ფილტრაციისა და დოქტრინაციის პრინციპების მიხედვით „დისკურსული საზოგადოებების“ ორ სექტორში – ერთი მხრივ, მომზადდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტსა და სახელმწიფო გამომცემლობის პოლიტლიტერატურის სექტორში, მეორე მხრივ, კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიაში. ერთგანაც და მეორეგანაც გათვალისწინებულია დოქტრინა, დოქტრინალურობა, რაც გაცხადებულია კრებულის პირველსავე თავფურცელზე მოცემულ ლოზუნგში „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“. ეს ლოზუნგი დოქტრინალური ბუნებისაა, ვინაიდან იგი შემოიკრებს ფართო მასებს ერთადერთი ღირებულების – პრო-

ლექტარიატის – ქვეშე და სწორედ ამ ღირებულების გარშემო ხდება დისკურსირებული მასების იდეური დარაზმვა და მათი თვითიდენტობის განსაზღვრა. შესაბამისად, დისკურსულ-დოგმატური სიტყვა პროლეტარიატი კრებულის ყველა ავტორისათვის დოგმატური აღმნიშვნელია და ჭეშმარიტების ცენტრი. მსგავსი ჭეშმარიტების ცენტრია სხვა დოგმატური აღმნიშვნელი – სტალინი, რომელიც კრებულის მესამე თავფურცელზე გვხვდება სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ტექსტში. კრებულის ავტორები და გამომცემლები, ამგვარად, იმთავითვე თანხმდებიან იმაზე, რომ მათი დისკურსული ტექსტები იმუშავებს ამ ორი ამოსავალი დოქტრინალური გამონათქვამის – პროლეტარიატი და სტალინი – განვრცობისა და გავრცელების მიმართულებით:

„დოქტრინა ტენდირებს იმ მიმართულებით, რომ მუდმივად განიცროცოს და გავრცელდეს. ერთადერთი დისკურსული ბირთვის (ანუ, დოქტრინის – კ. ბ.) გარშემო თავმოყრის საფუძველზე ინდივიდები, სულ ერთია, რა რაოდენობისაც არ უნდა იყვნენ ისინი, საკუთარ თავს ერთიან მთლიანობად განიხილავენ. ამ ერთიანობის ერთადერთი წინაპირობა, როგორც ჩანს, არის ამ ინდივიდების მიერ ერთი და იმავე ჭეშმარიტებათა აღიარება და, ასევე, კონკრეტულ დისკურსზე შეთანხმება, რომელსაც შემდგომ ეს ინდივიდები წესების მკაცრი დაცვით მიჰყვებიან. [...] ერთიანი დოქტრინისადმი მიკუთვნებულობა ვრცელდება არა მხოლოდ მოლაპარაკე სუბიექტზე, არამედ – მის გამონათქვამებზე. სწორედ მისი გამონათქვამის მიხედვით ადგენენ დოქტრინალური ჯგუფები, ეს მოლაპარაკე სუბიექტი დაექვემდებაროს თუ არა იზოლირებისა და გაცხრილვის პროცედურებს მაშინ, თუკი იგი ერთ ან მრავალ მიუღებელ გამონათქვამს გააჟღერებს. [...] ამგვარად, დოქტრინა, როგორც მექანიზმი, მუდამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ხოლმე მოლაპარაკე სუბიექტის გამონათქვამებს და საჭიროებისამებრ გადაამონმებს, რამდენად შეესაბამებინ ეს გამონათქვამები ერთიან დოქტრინალურ ნიშნებსა და მანიფესტაციებს, რამდენად შეესატყვისებიან ისინი **საერთო კლასობრივ** (ხაზი ჩემია – კ. ბ.), საზოგადოებრივ, რასიულ, ეროვნულ, ან ინტერესთა ჯგუფების სტატუსსა და ამოცანებს, რათა შემდგომ ეს მოლაპარაკე სუბიექტები შესატყვისად დაირაზმონ საერთო ბრძოლისათვის, ამბოხისათვის, წინააღმდეგობისათვის, ან ხოტბა-დიდებისათვის. ამგვარად, დოქტრინა ინდივიდებს კონკრეტულ გამონათქვამებზე მიაბამს და უკრძალავს მათ სხვა გამონათქვამთა წარმოებასა და არტიკულირებას. დოქტრინა ამავდროულად იყენებს გამონათქვამთა კონკრეტულ ტიპებს, რათა ინდივიდები ერთმანეთთან დაახლოოს და სხვა არასასურველი ინდივიდებისაგან გამიჯნოს. შესაბამისად, დოქტრინა ახორციელებს ორმაგ კონტროლს: იგი, ერთი მხრივ, აკონტროლებს მოლაპარაკე სუბიექტებს და იქვემდებარებს მათ კონკრეტული დისკურსების ფარგლებში, მეორე მხრივ, აკონტროლებს და იქვემდებარებს დისკურსებს მოლაპარაკე სუბიექტების ჯგუფებად სელექციის მიხედვით. [...] რიტუალური მეტყველება/თქმა, დისკურსული სა-

ზოგადობანი და დოქტრინალური ჯგუფები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და ქმნიან ერთ დიდ სტრუქტურას, ისინი მკაცრად და მკვეთრად განსაზღვრავენ, ერთი მხრივ, მოლაპარაკე სუბიექტთა სხვადასხვა დისკურსებზე გადანაწილებას, მეორე მხრივ, განსაზღვრავენ დისკურსების მორგებას კონკრეტული კატეგორიის სუბიექტებზე“ (Foucault 1974: 29, 30, 31).

სწორედ ფუკოს მიერ ხაზგასმული ეს დოქტრინალური „ელემენტები“ და მექანიზმები უდევს საფუძვლად სტალინისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულს და განაპირობებენ, რომ კრებულში შემავალი ტექსტები (სტატიები და მოხსენებები) იმთავითვე დისკურსული ბუნების იქნება, რომ ამ ტექსტების მიზანია მასების „პასტორალიზება“ მარქსიზმის, სტალინიზმის, ბოლშევიკური პარტიის *ჭეშმარიტი* დოქტრინების მიხედვით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ კრებულის ყველა ავტორი იყენებს ენობრივი სელექციისა და ფილტრაციის ერთსა და იმავე წესებს და ამიტომ, ავტორები ხშირად ერთი და იგივე ლექსიკური მარაგით ოპერირებენ, მათ ტექსტებში მუდმივად ერთი და იგივე სელექციონებული ლექსიკური ერთეულები გამოიყენება და მუდმივად ერთი და იგივე გამონათქვამი არტიკულირდება.³

2.1 სტალინის ფიგურის საკრალიზაცია

კრებულში დოქტრინალური განვრცობა და გავრცელება, პირველ რიგში, უკავშირდება სტალინის პოლიტიკური ფიგურის, ბოლშევიკურ-კომუნისტური პარტიის, პროლეტარიატის, მარქს-ენგელს-ლენინის საკრალიზაციას, რაც ავტორების მიერ განხორციელებულია კონკრეტული დისკურსული ელემენტების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობა რელიგიური საკრალიზაციისა და ესქატოლოგიის ტრადიციას. ამასთან, ამ ტრადიციის გათვალისწინებით კრებულში ასევე განვითარებულია დიქოტომიური დაყოფა „მართლმორწმუნეებად“ (მაგ., ბოლშევიკები, პროლეტარიატი) და „მწვალეზებად“ (მაგ., მენშევიკები, ბურჟუაზია), ასევე განვითარებულია პოლიტიკური „ცოდვების“ მონაწილებისა და პოლიტიკური „ცოდვებისაგან“ განწმენდის მორალური დოგმები და „რელიგიური“ პრაქტიკა. ამიტომ, კრებულის ყველა ტექსტში გამოყენებულია ერთი და იგივე დისკურსული მექანიზმები და ელემენტები, რომელთა საფუძველზეც საკრალიზებულია სტალინის პოლიტიკური ფიგურა, ბოლშევიკურ-კომუნისტური პარტია, პროლეტარიატი, მარქს-ენგელს-ლენინის „სამება“ და განხორციელებულია პოლიტიკური მორალიზება. კერძოდ:

ა) ჰიპოსტაზირება, ანუ სტალინის ფიგურის ახალი მესიისა და ახალი უფლის რანგში აღზევება, რაც აღნიშნულია სიტყვით „**მამა**“, „**ბელადი**“; შესაბამისად, სტალინისადმი უშუალო მიმართვის ფორმა, რათა გაღრმავდეს სულიერი მამა-შვილური ერთობა ბელადსა და მასებს შორის, ყოველთვის „შენობითია“, მეორე გრამატიკულ პირშია – „შენ...“ (შდრ.: „ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი შენი სამოცი წლისთავის დღეს მხურვალედ მოგესალმება შენ, პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს“; კრებული ... 1940: 7);

b) მარადიულობის დისკურსი – სტალინი დრო-სივრცული კატეგორიების მიღმაა, მისი არსი მარადიულია;

c) მოსეანური დისკურსი – სტალინი, ვითარცა მოძღვარი და მასწავლებელი, რომელიც, როგორც თეორეტიკოსი, ახალ *ჭეშმარიტ* მცნებებსა და დოგმებს ქმნის მსოფლიო პროლეტარიატისათვის;

d) მზუნველი მამის დისკურსი – *მამა*, რომელიც ძველი აღთქმის ღმერთივით ზრუნავს თავის „რჩეულ ერზე“ (პროლეტარიატზე, მშრომელებზე, გლეხებზე, „საბჭოთა ხალხზე“), ისტორიული ჟამიანობის დროს მუდამ მის გვერდით დგას, თანაუგრძნობს მას და მუდამ გადაარჩენს: „სტალინი სათუთად ზრუნავს ამხანაგებისათვის, მეგობრებისათვის, ხალხისათვის. იგი ლენინივით ანსახიერებს ადამიანისადმი უღრმეს სიყვარულს და თავდადებულ ბრძოლას მისი სრული განთავისუფლებისათვის, მისი ბედნიერებისათვის“ (კრებული ... 1940: 71);

e) პროლეტარიატი – როგორც ახალი „რელიგიური თემი“, ახალი „მართლმორწმუნეები“;

f) პარტია – ვითარცა ახალი „ეკლესია“, რომელიც ახალი ესქატოლოგიური ჟამისკენ – კომუნიზმისკენ უსახავს გზას პროლეტარიატს;

g) „თეორეტიკოსები“: მარქსი, ენგელსი და ლენინი – ვითარცა ახალი „წინასწარმეტყველები“, „მოციქულები“ და „მახარებლები“, რომელთაც არ უწერიათ „აღთქმული ქვეყნის“ – კომუნიზმის დამყარების – ხილვა და კომუნისტურ „სამოთხეში“ შესვლა („უდიდეს თეორეტიკოსებს – მარქსსა და ენგელსს – არ დასცალდათ თავიანთი იდეების განხორციელება ცხოვრებაში, არ დასცალდათ მათი განხორციელების ნაყოფის ნახვა“; კრებული ... 1940, 65);

h) პროლეტართა რევოლუციური ბრძოლა და ბოლშევიკთა იატაკქვეშა მოღვაწეობა, როგორც ახალი „რელიგიური“ ღვანლი და „კატაკომბებში“ ახალი მისიონერობა;

i) ბურჟუაზიულ-რეაქციონერული ძალები: *მენშევიკები, ტროცკისტები, სოციალ-დემოკრატები* და სხვ. – ვითარცა ახალი „მწვალებლები“ და „სექტანტები“;

j) მათგან გამიჯვნა, ვითარცა ცოდვებისაგან განწმენდა;

k) ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია – ვითარცა ახალი „რელიგიური დოგმატები“;

l) კომუნიზმის დამყარება სოციალიზმის გზით, ვითარცა ახალი „ესქატოლოგია“.

გაზეთ „პრავდის“ მონინავეში, რომელიც კრებულის პირველი სტატიაა, სტალინი *მესიად*, ახალ *მამა-ღმერთადაა* გამოცხადებული. ეს საკრალური ჰიპოსტაზირება კი კოდირებულია დისკურსულ აღმნიშვნელებში – *მამა, ბელადი*. რაც მთავარია, ეს ჰიპოსტაზირება დოგმატიზებული, ლეგიტიმირებული და ინსტიტუციონალიზებული იმით, რომ სტატია უმთავრეს და უპირველეს საკავშირო მრავალმილიონიან პარტიულ („ეკლესიურ“) გაზეთშია გამოქვეყნებული, კერძოდ, კომუნისტურ-ბოლშევიკური პარტიის ოფი-

ციალურ ბეჭდვით ორგანოში, „პრავდაში“, სადაც ახალი „ეკლესია“, ანუ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ-ბოლშევიკური პარტია ბეჭდავს და მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბით ავრცელებს თავის დოგმატურ „ეპისტოლეებს“:

„ჩვენი თვალუწვდენელი სახელმწიფოს 183-მილიონიანი ხალხი აღფრთოვანებითა და ხმამაღლა ადიდებს თანამედროვეობის უდიდეს ადამიანს, გენიალურ ბელადსა და მოაზროვნეს, ახალი ცხოვრების შემოქმედსა და ხუროთმოძღვარს, ყველა ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთა მამას. [...] მთელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა თვალი მიპყრობილია სტალინისაკენ, იგი არის მათი იმედი, იგი არის მათი მომავალი! სტალინი ჩვენი ბედნიერებაა! [...]

ხალხთა ამ ერთიანობის ბელადი და დროშა, სსრ კავშირის ხალხთა ბელადი, როგორც ეს მთელი მსოფლიოს მშრომელებმა იციან, არის ლენინის საქმის დიდი განმგრძობი – ჩვენი სტალინი, რომლის გარშემო მჭიდროდ დარაზმულია ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხები, ყოველივე, რაც საუკეთესოა მსოფლიო განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ბოლშევიზმის ბელადში, სსრ კავშირის ხალხთა ბელადში, ყველა ქვეყნის მუშები, ბუნებრივია, რომ მსოფლიო კომუნიზმის ბელადსაც ხედავენ (გამუქება ყველგან ჩემია – კ. ბ.) (კრებულები... 1940: 11, 12, 29-30).⁴

მოხმობილ პასაჟებში სტალინის საკრალიზაცია განვითარებულია საფეხურებრივად: თავდაპირველად „უდიდესი ადამიანი“ შემდგომ გადაიქცევა „გენიალურ ბელადად“ და ბოლოს „მშრომელთა და ჩაგრულთა მამად“. სტალინის მამობა აქ რაიმე სტანდარტული მეტაფორა ან რიტორიკული ხერხი კი არაა, არამედ მიზანმიმართულად შერჩეული დისკურსული „დოგმატია“, რომლითაც ერთხელ და სამუდამოდ ხაზგასმულია, რომ სტალინი ახალი „მამა-ლმერთია“. შესაბამისად, იგი ერთდროულადაა პირველსანწყისი, დემიურგი („ახალი ცხოვრების შემოქმედი“), ეთიკური აღმზრდელი და „რელიგიური ფსიქოლოგი“ – მშრომელთა და ჩაგრულთა ნუგეშისმცემელი და სასოება. ამავე პასაჟში, ამავედროულად, ხაზი ესმება ნიუანსს, რომ სტალინი მაინც და მაინც „მშრომელთა და ჩაგრულთა“ მამაა, რაც გულისხმობს, რომ კაცობრიობის საერთო შემადგენლიდან სწორედ „ჩაგრული მშრომელები“ არიან „ჭეშმარიტი მართლმორწმუნეები“, ვინაიდან სწორედ ისინი აღიარებენ და თაყვანს სცემენ სტალინს, როგორც მამასა და ჭეშმარიტებას („აღფრთოვანებითა და ხმამაღლა ადიდებს“). ამიტომაც, ხსნა, ნუგეში და ბედნიერება მხოლოდ სტალინის ნიაღშია.⁵

ამ დოქტრინალურ ბირთვს, რომელიც კოდირებულია აღმნიშვნელებში მამა, ბელადი, შემდგომ ექვემდებარება კრებულის ენის სელექცია და ფილტრაცია. შედეგად, ავტორები იყენებენ დისციპლინირებულ დისკურსულ ენას, რომლის ფარგლებში სხვადასხვა ვარიაციით მუდმივად გამოყენებულია ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულები, ფრაზეოლოგია და სინტაგმატური წყობა, რომლის საფუძველზეც ხაზი ესმება სტალინის განსაკუთრებულობას, მის „ზეკაცობას“, რჩეულობას, (იგი ყველა მასშტა-

ბური საქმის სათავეშია – საბჭოთა არმიის შექმნის, კოლმეურნეობების ჩამოყალიბების, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის საქმეში),⁶ ან ხაზი ესმება კომუნისტურ-ბოლშევიკური პარტიის გადამწყვეტ ისტორიულ-ესქატოლოგიურ როლს კომუნიზმის მშენებლობაში, ან ხაზი ესმება პროლეტარიატის, როგორც „ჩრეული ერის“, განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ა. შ.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამონარიდებს ვ. მ. მოლოტოვისა და ა. მიქოიანის წერილებიდან „სტალინი, როგორც ლენინის საქმის განმგრძობი“ და „სტალინი – ეს არის ლენინი დღეს“: „ყოველივე ამის გაკეთება ჩვენმა პარტიამ სრული წარმატებით შეძლო ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორისა და იდეური **ბელადის**, ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით“ (კრებული ... 1940: 18), „ყოველივე ამაში მთავარი და გადამწყვეტი დამსახურება მიუძღვის ამხ. სტალინს, ლენინის საქმის განმგრძობს, სკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა კავშირის **ბელადს**“ (კრებული ... 1940: იქვე), „შემდეგში აშკარა გახდა, თუ მარქსიზმ-ლენინიზმის რა უდიდესი თეორეტიკოსია ამხ. სტალინი“ (კრებული ... 1940: 19), „ამხ. სტალინმა, ისე როგორც სხვამ არავინ, ღრმად გაიგო ლენინის გულში ჩამწვდომი იდეები“ (კრებული ... 1940: იქვე), „და მართლაც, მთელ უდიდეს და მრავალმხრივ პრაქტიკულ მუშაობაში ამხ. სტალინი გამოედის, როგორც თანმიმდევარი მარქსისტი, როგორც შეურიგებელი ლენინელი“ (კრებული ... 1940: 22), „მისი, გარეგნულად არა ყოველთვის შესამჩნევი, ხოლო სინამდვილეში უაღერსად **აქტიური მონაწილეობა ყველა სახელმწიფო საქმეში მუღავნდება ყველაფერში ყოველ ნაბიჯზე**“ (აქ მოლოტოვი პავლე მოციქულის ანალოგიით სტალინს, ფაქტიურად, ღვთის იმ თვისებებს მიანერს, რასაც პავლეს მიხედვით სამყაროში ღმერთის ყოველ არსსა და მატერიაში განფენილობა ჰქვია: „რაფთა იყოს ღმერთი ყოვლად ყოველსა შინა“ [1 კორინთ. 15, 28] – კ. ბ.) (კრებული... 1940: 25-26), „ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ ძირითადად უკვე ააშენა სოციალისტური საზოგადოება, რის განხორციელებაც კიდევ ვერ მოასწრო ლენინმა“ (აქ ლენინი ერთგვარ „მოციქულად“ თუ „წინასწარმეტყველად“ გამოყვანილი, ხოლო სტალინი უკვე პირველი და უკანასკნელი მესიაა, იგია ახალი „აღფა და ომეგა“, რომელმაც უნდა მოიყვანოს და დააყენოს ესქატოლოგიური ჟამი – კ. ბ.) (კრებული... 1940: 27), „იკვლევს კომუნიზმის მოძღვრება გზას წინ, გზას სრული გამარჯვებისაკენ“ (კრებული... 1940: 30), „დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა და მსოფლიოს მთელი მშრომელი კაცობრიობა ზეიმს უმართავს **თავის ბელადს, მამასა და მეგობარს – ამხანაგ სტალინს**“ (კრებული... 1940: 62), „მან გენიალურად გამოიყენა მეცნიერული მემკვიდრეობა (მარქს-ლენინის მოძღვრებანი – კ. ბ.), განავითარა იგი ახალ პირობებში, მან გაამდიდრა იგი“ (კრებული... 1940: 63) (გამუქება ყველგან ჩემია – კ. ბ.) და მრავალი სხვა.⁷

2.2 ისტორიის ტელეოლოგიურობა და კომუნისტური ესქატოლოგია

როგორც ჭეშმარიტი მესია, სტალინი ისტორიაში უნდა შევიდეს, მისი სიტყვა, მისი „ლოგოსი“ აქ უნდა გაცხადდეს. აქ ის საკუთარი თეორიული ნაშრომებითა (მოდერნებითა) და საკრალური ტექსტით, ე. წ. „სტალინური კონსტიტუციით“ (მდრ.: „ამხანაგმა სტალინმა შეჰქმნა მოძღვრება სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ, რომელიც აღბეჭდილია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში“; კრებული ... 1940: 64) თავად ქმნის ისტორიას და ისტორიის მსვლელობას ანიჭებს ნებას, ძალასა თუ ქმედებას, რათა ტელეოლოგიის პრინციპზე დაყრდნობით ისტორიულმა პროცესმა შეუფერხებლად, განუხრელად და თანმიმდევრულად ისწრაფოს საბოლოო მიზნისაკენ – კომუნიზმის დამყარებისაკენ. ლ. მ. კაგანოვიჩის წერილი „ისტორიის ლოკომოტივის დიდი მემანქანე“ (კრებული... 1940: 48-61) სწორედ სტალინის მესიანისტური როლის გადმოცემასა და ისტორიის კომუნისტური ესქატოლოგიით დეტერმინებულობის მტკიცებას ეძღვნება. მეთოდად და დისკურსად, ცხადია, მატერიალისტური დიალექტიკაა აღებული.

ამ დიალექტიკური მატერიალიზმის ამოსვალი დებულებაა, რომ, ერთი მხრივ, არის „ჭეშმარიტება“ („ფასოვანი“) კომუნიზმის სახით და, მეორე მხრივ, არის მისი შემფერხებელი არაჭეშმარიტი, ბოროტი ძალა კაპიტალიზმის სახით, რომელიც აფერხებს მსოფლიო ისტორიის განვითარებას. შესაბამისად, ძალა, რომელიც აფერხებს ისტორიას, აუცილებლობით უნდა მოისპოს და განადგურდეს იმ კლასის მიერ, რომელშიც „ჭეშმარიტება“ და რომელსაც წინ მიჰყავს ისტორიის სვლა მაღალი მიზნისაკენ – კომუნიზმისაკენ, და ეს კლასია პროლეტარიატი. ამ პროცესს, ცხადია, სათავეში უდგას სტალინი, როგორც ბელადი, ვინც ისტორიის მსვლელობას მაღალ აზრს ანიჭებს, ვისაც ისტორიაში საზრისი შეაქვს და ვისაც ისტორიის განვითარება უწყვეტად მიჰყავს საბოლოო და ერთადერთი მიზნისაკენ – კაცობრიობის საბოლოო ბედნიერი ესქატოლოგიური ჟამისაკენ, კომუნიზმისაკენ, ვინაიდან მხოლოდ იგი, როგორც რჩეული, როგორც ახალი მესია და ბელადი, მხოლოდ იგი ფლობს მისთვის შესაფერის „ზეზუნებრივ“, „სასწაულებრივ“, „ნათელხილვით“ უნარებს, რომელთა წყალობითაც სტალინს შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ისტორიის მომავალი და ნათელ ილოს იგი, ანუ რასაც ის განჭვრეტს, ზუსტად იმ სახითვე აღსრულდება და დაემკვიდრება:

„ამხანაგ სტალინის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს მისი ნიჭი – გარეგნულის, თვალისათვის არც თუ ისე შესამჩნევის იქით დაინახოს მოვლენების არსი, მათი ფესვი და ამ საფუძველზე გაიხედოს ათეულ წლებით წინ. [...] სტალინი, როგორც ბელადი, წამოყენებულია ახალი კლასის (ე. ი. პროლეტარიატის – კ. ბ.) მიერ, კლასის, რომელსაც წინ მიჰყავს ისტორია (ხაზი ჩემია – კ. ბ.), რომელიც მონოდებულია მოსპოს კაპიტალიზმი და ააშენოს კომუნიზმი. [...] სტალინმა გაატარა ისტორიის ლოკომოტივი ციცაბო და ძნელ აღმართ-დაღმართებზე, მიხვეულ-მოხვეული გზებით, იგი სტოვებდა

ლოკომოტივის ლუმელში **მხოლოდ იმ ფასოვანს** (ხაზი ჩემია – კ. ბ.), რაც მამოდრავებელ ენერგიას იძლევა, ხოლო ხენჯს იგი დროულად აცილებდა, არ აბრკოლებდა რა ამავე დროს მსვლელობას. [...] დღეს ხალხი სიამაყით ეუბნება თავის დიდ მემანქანეს: შენ არა მარტო შეინარჩუნე რელსებზე ისტორიის ლოკომოტივი, შენ დააჩქარე მისი მსვლელობა წინ მიუხედავად მტრების მხრით ყველა დაბრკოლებისა და გამცემლობისა, შენ მიიყვანე რევოლუციის დიადი მატარებელი სოციალიზმის სადგურამდე, რათა გამარჯვებით მიგვიყვანო კომუნიზმის სადგურამდე“ (კრებული ... 1940: 48, 51, 58, 61).

2.3 კალინინის სტატია, როგორც „ახალი აგიოგრაფია“⁸

კრებულში მოთავსებული მ. ი. კალინინის სტატია „ამხანაგ სტალინის დაბადებიდან სამოცი წლისთავისათვის“ (კრებული... 1940: 73-165) შეგვიძლია განვიხილოთ ერთგვარ „აგიოგრაფიულ“ ტექსტად, ახალ ბოლშევიკურ-სტალინურ „აგიოგრაფიად“, სადაც ტრადიციული ქრისტიანული აგიოგრაფიის დისკურსის, პოეტიკის, იმაგოლოგიისა და მეტაფორიკის მიხედვით საკრალიზებულია ახალი „სინმინდეები“ – სტალინი, პარტია, გადმოცემული და გამყარებულია ახალი „დოგმები“, მაგ., ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, გადმოცემულია სტალინის, როგორც „მესიის“ (თუ ახალი „წმინდანის“), ცხოვრება სასულიერო სემინარიაში მარქსიზმთან ზიარებითა და იატაკქვეშა-„კატაკომბური“ საქმიანობით დაწყებული და ბელადად/მესიად გადაქცევით დამთავრებული, აღწერილია მისი ახალი მსოფლიო „ღვანლი“, კომუნისტურ-სოციალისტური საკაცობრიო ღვანლი, კომუნისტური იდეისადმი მისი ერთგულება, მარტვილობა, მსახურება, ასევე გადმოცემულია ბურჟუაზიის, მენშევიზმისა თუ სოციალ-დემოკრატიის „ურწმუნოებასთან“, „მწვალებლობასა“ და „სექტანტობასთან“ სტალინის შეურიგებელი ბრძოლის ისტორია (საინტერესოა, რომ ამ „ელემენტების“ დასახასიათებლად კალინინი პირდპირ იყენებს რელიგიურ ეპითეტიკას – **„მცირედმორწმუნენი“**; კრებული: 1940: 137) და, რაც მთავარია, გადმოცემულია ახალი „ესქატოლოგია“ – კომუნიზმის, ვითარცა ათასწლოვანი ახალი „იერუსალიმის“ სამარადისო და საყოველთაო დამყარება სტალინის, ამ ახალი „მესიის“, მიერ. ამ გზაზე კი სტალინი ეწევა „მოციქულებრივ“ საქმეს – იბრძვის და ქადაგებს ჭეშმარიტებისათვის, სათავეში უდგას პარტიას, როგორც ახალ „ეკლესიურ“ კომუნიონს და პროლეტარიატს, როგორც ახალ „მართლმორწმუნეებს“:

„არსებითად ამხანაგ სტალინის გენერალურ მდივნად ხელახლა არჩევა ნიშნავდა პარტიის ხელმძღვანელობის მის ხელში გადასვლას. ამხანაგ სტალინს, როგორც პარტიის ბელადს, დაეკისრა უდიდესი პასუხისმგებლობა პარტიის ერთიანობის განმტკიცებისათვის ლენინიზმის ბაზაზე, საბჭოთა ხელისუფლების განვითარებისა და განმტკიცებისათვის, საბჭოთა ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის. [...] ამხანაგმა სტალინმა ამავე დროს უდიდესი

თეორიული მუშაობა გააჩაღა. ამას ეკუთვნის უპირველეს ყოვლისა ცნობილი ლექციები „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“. უნდა ითქვას, რომ ეს იყო არა ჩვეულებრივი ლექციები, ეს იყო ლენინიზმის მხურვალე დაცვა, მასების წინაშე მისი გაბედული დაპირისპირება ყველა მტრული თეორიისადმი. ამხანაგმა სტალინმა დიდად წინ წასწია მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორია; ახალი შინაარსით გაამდიდრა მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა ძირითადი საკითხი ახალი პირობებისადმი შეფარდებით, ახალ საფეხურზე აიყვანა ლენინის მოძღვრება იმპერიალიზმზე; დაამუშავა საკითხი პროლეტარიატის სახელმწიფოს შესახებ, გლეხთა საკითხი, ნაციონალური საკითხი, პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში მისი როლის შესახებ, სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხები და დასასრულ, საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობის გზების შესახებ“ (კრებული... 1940: 132, 134-135).

ამგვარად, კალინინი ყურადღებას ამახვილებს სტალინის „საწრმუნოებრივ“ ღვაწლზე, რაც **a)** გამოიხატა სტალინის საჯარო გამოსვლებში, როგორც ახალ მოციქულებრივ „ქადაგებებში“, **b)** გამოიხატა თეორიული შრომების შექმნაში (რამაც შემდგომ ჯამში 11 ტომი შეადგინა), როგორც ახალ მოციქულებრივ „ეპისტოლეებში“, და ბოლოს, **c)** გამოიხატა სტალინურ კონსტიტუციაში, როგორც ახალ „იოანესეულ გამოცხადებაში“, სადაც მოცემულია ახალი „ესქატოლოგიური ჟამის“ – კომუნიზმის გარდაუვალი დადგომის ვიზიონები: „კაპიტალიზმი ჩვენს ქვეყანაში დამარცხებულია, განმედილია გზა კომუნიზმის მშენებლობისათვის და მშრომელ მასებთან ერთად, ხელმძღვანელობს რა მათ, **ამხანაგი სტალინი აშენებს კომუნიზმს** (ხაზი ჩემია – კ. ბ.). [...] სტალინური კონსტიტუციის მიღებით დასრულდა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მთელი ისტორიული ზოლი (ანუ, დასრულდა 1936 წლის დეკემბერში კონსტიტუციის მიღებით – კ. ბ.). დაიწყო ბრძოლის პერიოდი კომუნიზმის აშენებისათვის“ (კრებული... 1940: 153, 158). აქვე კი ნაგულისხმებია, რომ მხოლოდ ამ „ეპისტოლეებსა“ და „ქადაგებებში“ ცხადდება ერთადერთი *ჭეშმარიტება* – *ჭეშმარიტება კომუნიზმის არათუ საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს მსოფლიოში გარდაუვალი დამყარებისა*. ამით კი კალინინს თავისი დისკურსი მაქსიმალურად მიჰყავს იმ მიმართულებით, რომ მის ტექსტში, როგორც *გამონათქვამში*, გამოვლინდეს *ნება ჭეშმარიტებისადმი*.

შემდგომ, ქრისტიანულ სათნოებათა ანალოგიითა და მიზადვით, კალინინი აქცენტს აკეთებს „რწმენაზე“, როგორც კომუნისტური „საწრმუნოებრივი“ ღვაწლის აღსრულების უმთავრეს, ფუნდამენტურ შინაგან მდგომარეობაზე, როგორც კომუნისტური იდეოლოგიის აღიარების საბაზისო შინაგან მდგომარეობაზე. ამ დებულების არგუმენტაციისას კი იგი ეყრდნობა უმაღლეს ავტორიტეტს და მოჰყავს თავად სტალინის სიტყვები:

„შემდგომ. ჩვენი მშენებლობის ნათელი პერსპექტივების უქონლად, სოციალიზმის აშენების **რწმენის** (ხაზი ჩემია – კ. ბ.) უქონლად მუშათა მასებს არ შეუძლიათ შეგნებული მონაწილეობა მიიღონ ამ მშენებლობაში, მათ არ შე-

უძლიათ შეგნებულად უხელმძღვანელონ გლეხობას. სოციალიზმის აშენების რწმენის (ხაზი ჩემია – კ. ბ.) უქონლად შეუძლებელია ნებისყოფის გამოჩენა სოციალიზმის მშენებლობისადმი. ჩვენი მშენებლობის სოციალისტური პერსპექტივების უქონლობა ამიტომ იწვევს პროლეტარიატის ნებისყოფის შესუსტებას ამ მშენებლობისადმი გარდაუვალად და უეჭველად“ [სტალინი, „ოპოზიციის შესახებ“] (კრებული ... 1940: 137).

ამგვარად, აქ აქცენტირებულია მასების მიერ გამოვლენილი უპირობო რწმენის აუცილებლობა, რასაც უკვე გააჩნია ახალი ობიექტი, ერთდროულად სეკულარიზებული და საკრალიზებული ობიექტი: რწმენა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის დამყარებისა და შემდგომ რწმენა ახალი „მარადიული სასუფევლის“, ამჯერად, „მინიერი სასუფევლის“ – კომუნიზმის მთელს მსოფლიოში აშენებისა და დამყარებისადმი. ამ რწმენის გენერატორი კი არის სტალინი, რომელიც არა მარტო ამ „სასუფევლისეული რწმენის“ გენერატორია, როგორც მოძღვარი და პოლიტიკური ბელადი, არამედ ამავდროულად თავადაა რწმენის ობიექტი, რაც ასევე ხელს უწყობს მისი ფიგურის საკრალიზაციას.

კალინინის სტატიამი განვითარებულ საკრალიზაციის დისკურსში კომუნისტური პარტიის ყრილობები, კრებები კონფერენციები წარმოჩნდება ერთგვარ ახალ „საეკლესიო კრებებად“, სადაც ყალიბდება და მიიღება კომუნისტური „სარწმუნოების“ ახალი „დოგმები“, მაგ., ინდუსტრიალიზაციის ან კოლექტივიზაციის „დოგმა“ და ა.შ.. ამასთან, როგორც ეს საეკლესიო კრებების ტარდობაში იყო, რომლებზეც სარწმუნოებრივი და დოგმატიკის საკითხების განხილვისა და ახალი ჭეშმარიტი დოგმების დამტკიცების გარდა გამოავლენდნენ და განკვეთდნენ მწვალებლებს, აქაც, პარტიულ კრებებზე ახალი სოციალისტურ-კომუნისტური „დოგმების“ შემუშავებისა და დამტკიცების გარდა გამოავლენდნენ „სქიზმატიკოსებს“ („ზინოვიეველებს“, „ტროცკისტებს“ ან „ბუხარინელებს“), განკვეთდნენ მათ „ეკლესიიდან“, ანუ პარტიიდან და ანათემას გადასცემდნენ:

„XIV პარტკონფერენციამ 1925 წ. აპრილში დაამტკიცა ლენინურ-სტალინური ეს მიზანდასახულობა, როგორც პარტიის კანონი (ხაზი ჩემია – კ. ბ.). გამოდიოდა რა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის პრინციპიდან, ამხანაგმა სტალინმა დღის წესრიგში სავსებით თანმიმდევრულად წამოაყენა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის (ხაზი ჩემია – კ. ბ.) საკითხი, როგორც პარტიის გენერალური ხაზის საფუძველი. ეს საკითხი მან დასვა პარტიის XIV ყრილობაზე 1925 წ. დეკემბერს. [...] ამხანაგმა სტალინმა ამხილა ზინოვიეველთა ეს გამცემლური გეგმა (იგულისხმება ამ უკანასკნელთა მიერ ინდუსტრიალიზაციის უარყოფა – კ. ბ.), როგორც სსრ კავშირის დამონების გეგმა, და გამოააშკარავა ტროცკისტულ-მენშევიკური არსი „ახალი ოპოზიციისა“, რომელიც ცდილობდა გაეთიშა პარტია და დარტყმის ქვეშ დაეყენებინა პროლეტარიატის დიქტატურა. პარტიის ყრილობამ წინააღმდეგობა გაუწია ყველა ოპოზიციის ცდებს – დაენგრიათ კავშირი მუშათა კლასსა და მშრომელ

გლახობას შორის. [...] ხალხმა შეიგნო **ინდუსტრიალიზაციის** (ხაზი ჩემია – კ. ბ.) მნიშვნელობა, როგორც **ერთადერთი გზისა კომუნიზმისაკენ** და კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი ენტუზიაზმი გამოიჩინა სოციალისტურ მშენებლობაში“ (კრებული ... 1940: 137, 139, 143).

მაგრამ ყველაფერთან ერთად კალინინის სტატიაში მნიშვნელოვანია ის მომენტი, როდესაც სტალინის საკრალიზაციის პროცესში ჩნდება ერთი გადამწყვეტი დეტალი: კერძოდ, სტატიაში ნელ-ნელა ისახება ახალი დისკურსი, რომ სტალინი მის წინამორბედ კომუნისტ მოციქულებზე აღმატებულია და აღმატებულია თვით ლენინზე, რომელიც აქამდე რევოლუციის ერთადერთი ბელადი იყო: „ამხანაგ სტალინს ჩინებულად აქვს შესწავლილი ლენინი, მან სრულყოფილად იცის არა თუ ყველა მისი ნაწარმოები, არამედ თითოეული მათგანის წარმოშობის მიზეზებიც. **შემდგომ ეჭვს გარეშეა, რომ ამხანაგ სტალინს ცოტა ვაგლენა როდი ჰქონდა ლენინზე**“ (ხაზი ჩემია – კ. ბ.) (კრებული ... 1940: 163). ეს დისკურსი კი ხსნის პერსპექტივას, რომ სტალინის საკრალიზაციის პროცესი სტალინის წოდებრივ ჩამონათვალს „ბელადის“ ზედწოდებით არ დაამთავრებს, არამედ ამ ჩამონათვალს აიყვანს უფრო მაღალ ჰიპოსტატიურ სახელდებაში, კერძოდ, აიყვანს ღვთაების არსის აღმნიშვნელ დისკურსულ ნიშანში და ეს ნიშანია „მამა“, რამაც უკვე გაიჟღერა კრებულის პირველ სტატიაში – გაზეთ „პრავდის“ მონინავე სტატიაში და გაიჟღერებს სხვა სტატიებში (იხ. ქვემოთ); ხოლო დაწყვილებას „ლენინურ-სტალინური“ თუ „ლენინ-სტალინი“ ჩამოშორდება („გაეცხრილება“), პირველი შემადგენელი ნაწილი და დარჩება მხოლოდ ერთი დიკურსული ბირთვი – „სტალინი“. ეს კი სულ მალე მოხდება, სტალინის საიუბილეო კრებულის გამოსვლიდან ხუთი წლის შემდეგ, როდესაც მეორე მსოფლიოს იმის დასრულებისთანავე სტალინი მსოფლიოს მოველინება არა მხოლოდ პროლეტარიატის ბელადად ან საბჭოთა ხალხის მამად, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა, ეთნოსთა, ტომთა მამად.⁹

2.4 „ნება ჭეშმარიტებისადმი“

კრებულის ძირითადი, გენერალური და გამჭოლი დისკურსია *ნება ჭეშმარიტებისადმი*, რაც გულისხმობს, რომ *ჭეშმარიტება*, ვთქვათ, *მარქსიზმშია*, ან ლენინშია, ან სულაც სტალინშია, სტალინთანაა და მხოლოდ მისგან გამოვალს. შესაბამისად, ეს გენერალური დისკურსი ავითარებს დიქოტომიას აქსიოლოგიური, ესქატოლოგიური და მესიანისტური თავალსაზრისით, რომ *ხსნა* მხოლოდ სტალინშია და *ჭეშმარიტება* კომუნიზმის დამყარებაშია მსოფლიო რევოლუციის გზით, ან სოციალიზმის, როგორც ახალი „სარწმუნოების“, გავრცელების გზით. დიქოტომიურობა კი კაცობრიობასა და პოლიტიკურ პროცესს, ერთი მხრივ, ახარისხებს ნამდვილ „მონრმუნეებად“ (ფუკოს მიხედვით – „კვალიფიცირება“), რომლებიც მიჰყვებიან სტალინისა (*მამისა*) და პარტიის („ეკლესიის“) ერთადერთ „ჭეშმარიტ“ კომუნისტურ-ბოლშევიკურ

მოდვრებას და ასე „ცხონდებიან“ (დაემკვიდრებიან კომუნიზმში), მეორე მხრივ, ახარისხებს „მწვალელებად“ და „ურწმუნოებად“ (ფუკოს მიხედვით – „გაცხრილვა“, „დისკვალიფიცირება“), რომელთაც სქიზმა შეაქვთ პარტიის, როგორც ახალი „ეკლესიის“, ბოლშევიკებისა და პროლეტარიატის რიგებში – „თავიანთ ფრაქციებს ჰქმნიდნენ, პარტიას სთიშავდნენ“ (კრებული ... 1940: 68), რომლებიც აცდენილნი არიან „ჭეშმარიტების“ გზას და ესქატოლოგიური ჟამის დადგომის დროს „წარწყმდებიან“, ანუ ვერ შევლენ კომუნიზმში, ან სულაც მანამდე განადგურდებიან – „ყველა ამ პატარა ჯგუფებისა და ფრაქციების ბოლომდე განადგურება“ (კრებული... 1940: 18).

კრებულის ყველა ავტორს სწორედ ეს დიქტომიურობის პრინციპი აქვს მომარჯვებული, მაგ., იმავე ვ. მ. მოლოტოვს ხსენებულ წერილში:

„ამხ. სტალინს არაერთხელ უთქვამს, რომ არის მარქსიზმიც და „მარქსიზმიც“. არის ნამდვილი მარქსიზმი – მარქსიზმი შემოქმედებითი, ბოლშევიკურ-რევოლუციური, როგორც არის ჩვენს დროში ლენინიზმი. და არის სხვა ტიპის მარქსიზმი, – „მარქსიზმი“ ბრჭყალებში, მარქსიზმი დოგმატიკური, მენშევიკურ ანტი-რევოლუციური, რომელიც მხოლოდ გარეგნული ფორმით მიეკუთვნება მარქსიზმს, არსებითად კი უცხოა მარქს-ლენინის რევოლუციურ-კომუნისტური მოძღვრებისათვის. [...] როგორც თავის დროზე ბურჟუაზია და მისი იდეური დამქაშები – მუშათა კლასში მყოფი ყოველგვარი ოპორტუნისტული და ანტირევოლუციური ჯგუფები ისწრაფოდნენ გადაეკეთებინათ და ჩვენს დროშიც ცდილობენ თავიანთ ყაიდაზე გადააკეთონ მარქსიზმი, ვითომდა მეცნიერული ხერხებით გამოაცალონ მარქსიზმს რევოლუციურ-კომუნისტური ბირთვი და ამით უშიშარი გახადონ იგი კაპიტალიზმისთვის, – ისევე ჩვენს დროშიც ტროცკისტები, ბუხარინელები და ყოველგვარი ფალსიფიკატორები ცდილობდნენ და ცდილობენ გამოაცალონ თანამედროვე მარქსიზმს მისი ყოვლისმძლე რევოლუციურ-შემოქმედებითი იდეების – ლენინიზმის იდეების – დედაარსი“ (კრებული ... 1940: 22).

აშკარაა, რომ მოლოტოვის დისკურსი აგებულია დიქტომიის პრინციპზე, რომლის ფარგლებშიც ცალსახად *ჭეშმარიტი* და *არაჭეშმარიტი* ღირებულებების მიხედვით ხდება საგანთა და მოვლენათა დახარისხება: ის, რაც *არაჭეშმარიტია*, არა თუ უკუგდების, არამედ სრული განადგურებისა და მოსპობის ობიექტია. დიქტომიური დისკურსის საფუძველზე ასე ახორციელებს ბოლშევიზმი და სტალინიზმი თვითაბსოლუტიზაციას (და იგივეს იზამდა ტროცკიზმი, თუკი სტალინის ფლანგს დაამარცხებდა) და თავის თავს აცხადებს აბსოლუტური „სიკეთისა“ და „ჭეშმარიტების“ მპყრობელ დოგმატურ მოძღვრებად, „დოქტრინალურ ჯგუფად“, „დისკურსულ საზოგადოებად“ და ინსტიტუციად, გნებავთ, ჰეგელიანური ობიექტური აბსოლუტური გონის გამართლებად და საბოლოო მიღწევად. ადამიანებად, სიცოცხლის ღირსად და კაცობრიობის ჭეშმარიტ და ერთადერთ შემადგენელ ნაწილად კი მიიჩნევს მხოლოდ პროლეტარიატს.

ამ ვითარებაში კი ადგილი აღარ რჩება არც განმანათლებლური ჰუმანიზმისა და ტოლერანტობისათვის და არც ქრისტიანული თანაგრძნობისა და კაცთმოყვარეობისათვის, ისინი იმთავითვე *გაცხრილულია*. ეს გარემოება სრულიად აშკარად და ღიად იკვეთება კალინინის ზემოთხსენებულ სტატიაში:

„როდესაც ამხანაგ სტალინის შრომებს კითხულობ, ისინი გიპყრობენ, გაღელვებენ აზრის სიღრმით, გიტაცებენ თავის ლოგიკით, გიპყრობენ თავისი თანმიმდევრულობით, თავისი უცვლელი პრინციპულობით, თავისი სუბულ-ვილით, ისეთი სიძულვილით, როგორითაც მარქს-ენგელს-ლენინს სძულდათ პროლეტარიატის ყველა მტრები, ხალხის ყველა მტრები“ (ხაზი ჩემია – კ. ბ.) (კრებული ... 1940: 142).

2.5. სტალინი, ვითარცა „მწყემსი კეთილი“, ანუ კაცობრიობაზე მზრუნველი მამის ხატი

საიუბილეო კრებულში გარდა იმისა რომ სტალინის ფიგურა მამის არქეტიპულ ხატთანაა გაიგივებული, რომლის გათვალისწინებითაც სტალინის არსში გამოკვეთილია პირველსაწყისისეული, დემიურგული და მოძღვრისეული ასპექტები, რის საფუძველზეც მასების თვალში სტალინი უნდა წარმოჩენილიყო ზებუნებრივ, რჩეულ, ღვთისდარ, ყოვლისშემძლე არსებად, ამასთანავე კრებულის მიზანია სტალინის ფიგურაში გამოკვეთოს ჰუმანური, კაცთმოყვარე, წმინდად ადამიანური თვისებები, რამაც ხაზი უნდა გაუსვას სტალინის არსშივე მოცემულ თანამგრძნობელი, მეოხი, შემწე, ადამიანსა და კაცობრიობაზე მარად მზრუნველი მამის ბუნებას. ამგვარად, კრებულის დისკურსი „მუშაობს“ იმ მიმართულებით, რომ ერთდროულად გამოიკვეთოს სტალინის მამობის ორი ასპექტი – წმინდად ღვთაებრივი და წმინდად ადამიანური. სწორედ ეს უკანასკნელი დისკურსია განვითარებული კრებულის შემდეგ სტატიებში: ვინმე ნ. შვერნიკის სტატიაში „სტალინი და ზრუნვა ადამიანზე“ (კრებული ... 1940: 212-221), ვინმე მ. შკირიატოვის სტატიაში „სტალინი და ხალხი“ (კრებული ... 1940: 222-231) და ვინმე ა. პროსკრებიშევისა და დ. ვინსკის სტატიაში „კაცობრიობის მასწავლებელი და მეგობარი“ (კრებული ... 1940: 232-250).

ხსენებული ავტორების წერილებში მიზანმიმართულად ჩნდება მამის კონცეპტი, დისკურსი იმთავითვე აღებულია სტალინის მამობაზე: მათ წერილებში სტალინი მხოლოდ „ამხანაგი“, „უდიდესი სტრატეგი“, „მასწავლებელი“, „ბელადი“ კი არაა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მზრუნველი მამაა, რომ ის ყველას „მშობლიური მამაა“ (კრებული... 1940: 223):

„გულები აღსავსეა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, მამისა (ხაზი ჩემია – კ. ბ.) *და მეგობრის – დიდი სტალინისადმი განუსაზღვრელი მადლობის გრძნობით. [...] სწორედ ამ მამობრივ, სტალინურ სიყვარულზე* (ხაზი ჩემია – კ. ბ.) *საბჭოთა ხალხისადმი მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. საბჭოთა ხალხის*

ფართო მასებში შემუშავდა ასეთი მიმართვა: „ჩვენი მშობლიური მამა, ამხანაგი სტალინი“ (ხაზი ჩემია – კ. ბ.). და ეს – უბრალო სიტყვები როდია, არამედ განსაკუთრებული სიტყვებია, და იშვინენ ისინი თვით ხალხში, უბრალო ადამიანთა შორის“ (კრებული ... 1940: 221, 223)

მზრუნველობა და გულისხმიერება კი კიდევ ერთ „ღვთაებრივ“ თვისებასთან, გულთამხილავობასთანა დაკავშირებული, რაც იმავე იუდეურ თუ ქრისტიანულ რელიგიურ ტრადიციაში იმთავითვე უფალს მიეწერება: ამ ტრადიციის თანახმად მხოლოდ უფალმა უწყის თითოეული მორწმუნის სულსა და გულში რა ფიქრები და ვნებები ტრიალებს. ამ რელიგიური დისკურსის ანალოგიით, სტალინმა დეტალურად იცის 183 მილიონიანი საბჭოთა იმპერიის თითოეული მოქალაქის გასაჭირი, სადარდებელი, საზრუნავი, წარმატება, წარუმატებლობანი, მაღალი სწრაფვები, სიხარული და ა.შ. ამასთან, იცის ვინ რას საქმიანობს, ვინ მიჰყვება თანმიმდევრულად პარტიის მიერ განსაზღვრულ საყოველთაო „ჯოგის მორალს“, პარტიულ დისციპლინას, ვინაა „კეთილმორწმუნე“ საბჭოთა მოქალაქე და ა. შ. შესაბამისად, აქ იკვეთება სტალინის ყოვლისშემძლე ღვთაებრივ-მამობრივი ბუნება, რომ იგი მზადაა ამ 183 მილიონიანი მასის თითოეული წარმომადგენლის პრობლემა უმოკლეს ვადაში გადაჭრას. ამგვარად, როგორც ღმერთია განფენილი სამყაროს მატერიალურ და არამატერიალურ განზომილებებში, ასევეა სტალინიც – ისიც განფენილია საბჭოთა იმპერიის ხილულ თუ უხილავ დიმენსიებში, თითოეული საბჭოთა მოქალაქის არსსა და არსებაში: „არავის ისე არ ძალუძს ადამიანების დაფასება, არავის ისე არ ეხერხება ჩასწვდეს ადამიანის სულის დაფარულ სიღრმეს, როგორც სტალინს“ (კრებული ... 1940: 212), „მან, როგორც არავინ, ღრმად, მშობლიურად იცის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის საჭიროება-მოთხოვნილებანი“ (კრებული ... 1940: 223).

მზრუნველობა ასევე გამოიხატება მასების აღზრდაში, დამოძღვრაში, მასების კომუნისტურ ქვეყნობებთან ზიარებაში, რაც ასევე სტალინის, როგორც აღმზრდელი მამის, პრეროგატივაა. გარდა ამისა, საბჭოთა ხალხზე განეული მზრუნველობა გამოიხატება მასების ეთიკურ წრთობაში, კერძოდ, შრომის კულტის, შრომის ეთიკის განმტკიცებაში:

„ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაში გამოიხატებოდა უდიდესი სტალინური მზრუნველობა სოციალისტური რევოლუციის ბედზე, მზრუნველობა მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ბედზე. [...] ჩვენი ქვეყნის მშრომელები არა მარტო სამუდამოდ დახსნილნი არიან უმუშევრობისაგან, არამედ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით მათ მოიპოვეს უფლება შრომაზე. ეს უფლება არა მხოლოდ საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია სტალინურ კონსტიტუციაში, არამედ იგი რეალურადაც უზრუნველყოფილია ჩვენი სამშობლოს თვითეული მუშაკისათვის სოციალისტური სახალხო მეურნეობის მიერ“ (კრებული ... 1940: 214, 216).

შესაბამისად, შრომის ეთიკის ამაღლება გულისხმობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის პროცესებში ადამიანების ჩართვას მასობრივი გამწვევი ძალის სახით. აქ კი ვიღებთ ვითარებას, როდესაც შრომამ

კი არ „შექმნა ადამიანი“ ან შრომა კი არ „ათავისუფლებს“, არამედ შრომამ დაამონა ადამიანი, დაუმონა რა იგი მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბით აგორებულ იდეოლოგიზებულ ტექნოკრატულ გიგანტომანიას და ასე დაუკარგა მას ადამიანური სახე და ღირსება. სინამდვილეში „შრომის უფლება“ საბჭოთა იმპერიაში გარდასახული იყო შრომით უუფლებობაში, იძულებით შრომაში, ვინაიდან ეს მასშტაბური ინდუსტრიალიზაცია უმეტესწილად ხორცელდებოდა არა საბჭოთა „თავისუფალი“ მოქალაქის ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე, არამედ საბჭოთა გულაგებში გამომწყვდეული ასიათასობით ადამიანის მონური შრომის ხარჯზე.¹⁰

მზრუნველი პოლიტიკური მამისა და მარად ხელში შემყურე და მარად დახმარების მომლოდინე მოქალაქეების დისპოზიცია კი, ერთი მხრივ, გულისხმობს, რომ ასეთი ტიპის საზოგადოებაში პოლიტიკური თავისუფლება იმთავითვე გამორიცხულია, მეორე მხრივ, ხალხზე „მზრუნველი“ პოლიტიკური ბელადი იმთავითვე გადაიქცევა აბსოლუტური თაყვანისცემის ობიექტად და გადაინაცვლებს ღვთაების რანგში. რელიგიური თაყვანისცემა კი იმთავითვე გულისხმობს ხოტბა-დიდებას, „შესანიშნავ“, „ღვთაებისადმი“ ვინმეს/რაიმეს შეწირვას ან უპირობო თვითმსხვერპლშენიშვას: მაგ., კრემლში მიღებისას ცნობილ მფრინავს, ჩკალოვს განუცხადებია „თავის მზადყოფნა თავი დასდოს ამხანაგი სტალინისათვის“ (კრებული ... 1940: 227). სტალინისადმი ეს თავდადება და თვითმსხვერპლშენიშვა, მისადმი აბსოლუტური სასოება შემდგომ პარადიგმატულ ფორმებს მიიღებს და საბჭოთა მოქალაქის უმთავრეს „რელიგიურ“-სამოქალაქო სათნოებად დამკვიდრდება:

„ამხანაგ სტალინს მრავალ საჩუქარს უგზავნიან. საჩუქრებს ჰგზავნიან ბავშვები და მოზრდილნი, მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენტები, დიასახლისები და ინვალიდები. [...] მთელი ეს უთვალავი წერილები, მოლოცვები და საჩუქრები მოწმობენ ამხანაგ სტალინის მჭიდრო კავშირს ხალხთან. ყველაზე ახლობელი, ყველაზე მშობლიური; უბრალო, თავდაბალი და გულისხმიერი მეგობარი, მეგობარი, რომელსაც მიმართავენ რჩვისათვის, უზიარებენ თავის სიხარულს, სთხოვენ დახმარებას გასაჭირში; ადამიანი, რომლის შესახებ თხზავენ სიმღერებს, თქმულებებსა და ლეგენდებს; ხალხის ერთგული შვილი. – ასეთად სცოცხლობს ამხანაგი სტალინი მშრომელთა შეგნებაში“ (კრებული ... 1940: 249).

მ. შკირიატოვის მიერ თავის სტატიაში მოყვანილი როვენის მაზრის გლეხი ქალის ამხ. ეფემჩუკ-დიაჩუკის სტალინისადმი გამოთქმული სამადლობელი სიტყვა კი აშკარად შეიცავს სახოტბო ლოცვისა თუ ტროპარის დისკურსს: „დიდი ხალხის დიდ ბელადს, რომელმაც მოგვანიჭა ჩვენ სიცოცხლე, ბედნიერება, რომელიც გვეპყრობა ჩვენ, როგორც მამა, როგორც მზრუნველი მშობელი, სახელი და დიდება!... მარადიული დიდება და მრავალჟამიერ ჩვენს ძვირფას მეგობარს, დიდება და ხანგრძლივი სიცოცხლე ამხანაგ სტალინს!“ (კრებული ... 1940: 230-231). გლეხი ქალის ეს სიტყვები, ფაქტურად, მამაო

ჩვენოს ლექსიკას („სახელი და დიდება“, „მარადიული დიდება“), სინტაგმატიკასა (რელატიური წინადადების გამოყენება კავშირით „რომელიც“) და ამაღლებულ პათოსს იმეორებს.

ამგვარად, მამის კონცეპტის „დამუშავებითა“ და სტალინისადმი საბჭოთა მოქალაქეების მიერ გამოვლენილი „რელიგიური“ ქცევის ასახვით (ხოტბა, თაყვანისცემა, სასოება, მსხვერპლშენიერვა, „ლოცვა“) აღნიშნული სტატიები მიზანმიმართულად ავითარებენ სტალინის „ღვთაებრივი“ წარმოშობის დისკურსს, რომ მის მიმართ საბჭოთამოქალაქეებს უნდა გააჩნდეთ ღვთისმოსიშების განცდა და თავგანწირვის უნარი, რითაც ისინი დაამტკიცებენ და დასტურყოფენ საბჭოთა სახელმწიფოს, კომუნისტური პარტიისა და კომუნისტებისადმი ერთგულებას.

დასკვნა

ტოტალიტარული რეჟიმის ფარგლებში შედგენილ ოფიციალურ იდეოლოგიურ ტექსტებში დისკურსი ცალსახად მუშაობს პოლიტიკური ბელადის აპრიორული საკრალიზაციის მიმართულებით: კერძოდ, პოლიტიკური ბელადი ისტორიული სივრცის ფარგლებში აუცილებლობით გადაინაცვლებს მამის არქტიპულ ხატში და იგი იძენს მამა-ღმერთის ყველა ნიშან-თვისებას: იგია ყოფიერების პირველსაწყისი, დემიურგი – შემოქმედი ღმერთი, იგია მოძღვარი, მასში და მასთანაა ჭეშმარიტება, იგია სასწაულმოქმედი და ყოვლისშემძლე, იგია მზრუნველი და მეოხი. შესაბამისად, პოლიტიკური ბელადი გადაიქცევა „ლოცვის“, თაყვანისცემისა და მსხვერპლშენიერვის ობიექტად. ამ მიზანდასახულობის გამო, ტოტალიტარული რეჟიმი და მისი ასავე საკრალიზებული ინსტიტუციები (პარტია) და სახელმწიფო აპარატი პრინციპულად ტრადიციულ რელიგიურ პარადიგმასა და დისკურსს ეყრდნობა (და ეს ორიენტირება აპრიორულია) და მასში შეაქვს ახალი რელიგიური შინაარსი – პოლიტიკური ბელადის სეკულარიზებული თუ სეკულარული საკრალიზაცია, რაც ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიის ფუნდამენტური დისკურსია.

შენიშვნები:

1. ცხადია, ეს ყოველივე არ ნიშნავს იმას, რომ დისკურსი მხოლოდ პოლიტიკურ სივრცეში ფუნქციონირებს. ფუკოს მიხედვით, ღიად თუ ფარულად იგი ყველგან მუშაობს, ყველგან ტოტალურად მყოფობს, როგორც ვინჩო ბანალურ ყოფაში, ისე ფართო სოციუმის ყველა შრეში, როგორც პოლიტიკურ ინსტიტუციებში, ისე სრულიად აპოლიტიკურ და „უწყინარ“ სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. უბრალოდ, ჩვენი გამოკვლევის ინტერესია, ავსახოთ და გადმოვცეთ დისკურსების ფუნქციონირების სპეციფიკა საკუთრივ პოლიტიკურ სივრცეში, კერძოდ, როგორ ფუნ-

ქციონირებს დისკურსი ტოტალიტარული რეჟიმის დროს შექმნილი იდეოლოგიური და პროპაგანდისტული ტექსტების ფარგლებში.

2. „>დისკურსულ საზოგადოებებს<< ამოცანად აქვთ დასახული, ან შეინახონ და დააკონსერვონ დისკურსები, ან აწარმოონ ისინი, რომ მერე ეს დისკურსები განსაზღვრული წესების მიხედვით ჩაკეტილ სივრცეში (მაგ., იმავე ტოტალიტარულ სივრცეში – კ.ბ.) მიმოაქციონ და ამ დისკურსების მფლობელი ან მათ ნაზიარები სუბიექტები მერე ერთმანეთთან დაახლოონ“ (Foucault 1974: 27). ამგვარად, ფუკო საუბრობს გარკვეულ კორპორატიულ საზოგადოებაზე (მაგ., პოლიტიკური პარტია), ან სამეცნიერო ინსტიტუტებზე (მაგ., მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი), რომელიც შედგება ფიქსირებული და შეზღუდული რაოდენობის სუბიექტებისაგან და რომლის ფარგლებშიც ძალაუფლებრივი სისტემებისათვის თუ გაბატონებული პოლიტიკური რეჟიმებისათვის განუწყვეტილვ ინარმოება სელექტირებულად გამოთქმული იდეოლოგიური დოგმები და დოქტრინები, რომელთა საფუძველზეც ეს სისტემები და რეჟიმები შემდგომ აკონტროლებენ მასების ცნობიერებას და ამ ფორმით პოლიტიკურად ძალადობენ და ძალმომრეობენ მათზე. ამგვარად, ვიღებთ ვითარებას, როდესაც „დისკურსული საზოგადოებანი“ მუშაობენ იმისათვის, რომ შექმნან დისკურსირებული საზოგადოება.

3. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მსგავსად 1949 წელს დაარსებულ ე.წ. გდრ-ში (DDR), ანუ კომუნისტურ აღმოსავლეთ გერმანიაში მმართველი პარტია („გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია“, SED) ასევე ახორციელებდა დისკურსულ ენობრივ პოლიტიკას: პარტიის ფარგლებში *სელექციის, კვალიფიკაციისა და დისკვალიფიკაციის* საფუძველზე ინარმოებოდა იდეოლოგიურად დეტერმინებული ლექსიკური ერთეულები და სინტაგმები – „დემოკრატიული ძალები“, „ჯანსაღი ძალები“, „პარტია ყოველთვის მართალია“, „ძმური თანამშრომლობა“, „ერთგულ ამხანაგთა ღრმა კავშირი“, „განზე გამდგარი ელემენტები“ და სხვ. (Eik 2018: 32-36). შესაბამისად, ამ დისკურსულ აღმნიშვნელებს ჰქონდათ ფუნქცია გერმანელი მშრომელი მასების ცნობიერებაში გამოეწვიათ უკიდურესად დიქტომიური აზროვნება, რის საფუძველზეც ისინი მკვეთრად გამიჯნავდნენ „კეთილ“ და „ბოროტ“, „ჭეშმარიტ“ და „არაჭეშმარიტ“ პოლიტიკურ მონაცემებს და აღიზრდებოდნენ მმართველი პარტიის კომუნისტური „ჯოჯის მორალით“.

4. საინტერესოა, რომ სანამ დაახლ. 30-იანი წლების შუახანებიდან დოქტრინალურ და ინსტიტუციონალურ დონეზე გაიშლებოდა სტალინის ფიგურის საკრალიზაცია, ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოს სტალინი თავად „მუშაობს“ ამ საკითხზე, იგი მუდმივად ჩააყენებს თავის თავს ისეთ პოზიციაში, რომელიც ხაზს უსვამს მის მოციქულებრივ როლს: კერძოდ, თავის ამ პერიოდის წერილებსა და ნაშრომებში სტალინს ქრისტიანი მოციქულების ანალოგიით შერჩეული აქვს *დამმოდღრელი* დისკურსი, სადაც იქვე იკვეთება, რომ სწორედ ამ დამმოდღრიდან მომდინარეობს ერთადერთი ჭეშმარიტება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროლეტარებისადმი, თუ რიგითი პარტიული ამხანაგებისადმი, ვინმე მეშკოვისა და კოვალჩუკისადმი სტალინის საპასუხი წერილი, რომელიც ეროვნულ საკითხს ეძღვნება. წერილის დასაწყისშივე სტალინი ავითარებს ისეთ დისკურსულ *გამონათქვამებს*, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ ის *ახალი მოციქულია*, რომ ის *ახალი მოძღვარია*, რომ მხოლოდ მისგან მოედინება *ჭეშმარიტება* და რა-

საც ის ეროვნული საკითხის თემაზე საპასუხო წერილში ღალადებს, სწორედ ისაა *ჭეშმარიტება*. აქვე ნაგულისხმებია, რომ პარტიული კოლეგები თუ უბრალო პროლეტარები რთული და საკამათო საკითხების ასახსნელად სწორედ მას მიმართავენ და არა სხვა პარტიულ ბოსებს. აქედან კი ერთი ნაბიჯია სტალინის ბელადად და მესიად აღზევებამდე: *„თქვენი წერილები მივიღე. ისინი მსგავსია იმ წერილების თემატიკისა, რომლებიც ბოლო თვეების მანძილზე მივიღე ჩვენი ამხანაგებისაგან. მაგრამ მე გადავწყვიტე სწორედ თქვენ გიპასუხოთ, რადგან თქვენ უფრო ხისტად სვამთ საკითხს, რაც ბევრად უწყობს ხელს საკითხში გარკვევას. მართალია თქვენს წერილებში საკითხის გადაჭრის არასწორ გზას გვთავაზობთ, მაგრამ ეს სხვა საქმეა, ამაზე მოგვიანებით. ახლა კი საქმეზე გადავიდეთ“* (Сталин 1949: 333).

5. ამავე მესიანისტურ დისკურსს ავითარებს მ. ი. კალინინი წერილში „ამხანაგ სტალინის დაბადებიდან სამოცი წლისთავისათვის“: *„კაპიტალისტური ქვეყნების მებრძოლი პროლეტარიატი და მთელი მსოფლიოს ჩაგრულნი უდიდესი სიამაყით შესცქერიან ამხანაგ სტალინს და მას უკავშირებენ თავის საუკეთესო იმედებსა და სასოებას“* (კრებული ... 1940: 73). კალინინის პასაჟში აშკარა ხდება, რომ სტალინი, როგორც მხსნელი და ხალხთა სასოება, მხოლოდ საბჭოთა კავშირის მოსახლეობისათვის კი არ იღწვის, არამედ მისი მისია უნივერსალურია, გლობალურია, საყოველთაოა („კათოლიკეა“), მან მთელი „ჩაგრული“ კაცობრიობა უნდა იხსნას კაპიტალიზმის „პირველცოდვისაგან“, ოღონდ კაცობრიობის ის ნაწილი, ვინც მოექცა „ჭეშმარიტ“ კომუნისტურ „რჯულზე“ და „მებრძოლი პროლეტარია“. აქ იმთავითვე ხშიანობს კრებულის თავფურცელზე გამოტანილი „დოქტრინალური ბირთვით“ – ლოზუნგი: *„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“* – წერილის ავტორის დისკურსული დეტერმინება, რომლის გათვალისწინებითაც მსოფლიო კაცობრიობის რჩეული ნაწილი პროლეტარიატია. ეს დისკურსი, რომელიც მასებს თავს ახვევს სტალინის მესიანისტურ არსსა და პროლეტარიატის რჩეულობას, კრებულის უკლებლივ ყველა ავტორთანაა მხედველობაში მიღებული და ყველა მათგანის ტექსტშია განვითარებული.

6. შდრ.: *„ქართულ მწერლობაში გორმა შეიძინა რაღაც ბეთლემისებური, მისტიკური ნიშნები; დიდი ბელადის, სტალინის, ბავშვობა და ყრმობა ათასგვარი ლეგენდის სახით წარმოაჩინეს. საგულდაგულოდ დამუშავდა მგზნებარე რევოლუციონერის, ხალხისთვის თავდადებულის, მათს ბედზე ჩაფიქრებული და მათი თავისუფლებისათვის მებრძოლის მხატვრული სახე, შესაბამისად, – დადებითი გმირის ზოგადი მოდელი“* (მეტრეველი 2015: 14).

7. და აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გარდა „დისკურსული საზოგადოებებისა“ (პარტია, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები) სტალინის ფიგურის საკრალიზაცია-ფიურერიზაციისათვის ასევე იღწვოდნენ საბჭოთა ხელოვანებიც: *„თუკი ლენინი სიკვდილის შემდეგ გამოაცხადეს საკრალურად, სტალინის, როგორც ჭეშმარიტი ახალი ადამიანის, სოციალიზმის თითოეული მშენებლის მოდელის, ახალი ცხოვრების ახალი შემქმნელის სახემ ხელოვნებაში საშუალება მისცა მას, რომ საკუთარი ანარეკლი დაენახა მის მიერ შექმნილ ხელოვნების ნიმუშებში, ვინაიდან ახალი საბჭოთა ადამიანი ხელოვანი სტალინის მიერ შთაბერილი სულის გარეშე ვერაფერს შექმნიდა, ის თვითონ სტალინის ქმნილებად ითვლებოდა. ამ თვალსაზრისით სტალინის პორტრეტები – სოცრეალისტური*

ხელოვნების უმაღლესი მიღწევა – თვით დემიურგის ანარეკლებია და აქედან გამომდინარე, დიალექტიკური პროცესის დამაგვირგვინებელი საფეხურია“ (გროისი 2017: 85).

8. კომუნისტურ-ტოტალიტარულ საბჭოთა იმპერიაში შედგენილ პროპაგანდისტულ ტექსტებს, როგორც თავისებურ „აგიოგრაფიებს“, ანალიზებს ს. მეტრეველი თავის გამოკვლევაში „კომუნისტური აგიოგრაფია“ (მეტრეველი 2015). ნაშრომში კომუნისტური იდეოლოგია, დოგმატური მარქსიზმი განხილულია კომუნისტური აგიოგრაფიის მსოფლმხედველობრივ ბირთვად: „რაც შეეხება შესიტყვება კომუნისტურ აგიოგრაფიას, აქ სიტყვა „კომუნისტურს“ აქვს აზრობრივი დატვირთვა, რომელიც ვლინდება სხვადასხვა ასპექტით. ჯერ ერთი, ჩვენ ვსაუბრობთ არა წმინდანთა ცხოვრების ქრისტიანული ტრადიციების გაგრძელებაზე, არამედ აგიოგრაფიის თავისებურ ორეულზე ან გნებავთ ფსევდოაგიოგრაფიაზე, რომელიც, როგორც იდეოლოგიური ლიტერატურა, ჩამოყალიბდა საქართველოს გასაბჭოებისთანავე. კომუნისტურ აგიოგრაფიას, როგორც მეტაჟანრს, მკაცრად დოგმატიზებული პარტიული იდეოლოგიის ფონზე დასჭირდა ქრისტიანული აგიოგრაფიის არქეტიპის გამოყენება-აღორძინება, თუმცა, უპირველესად, როგორც ათეისტურმა სახელმწიფომ, ღმერთთან მებრძოლმა დოქტრინამ სასწრაფოდ შეცვალა მისი ქრისტიანულ-მსოფლმხედველობრივი ბირთვი. ე. წ. დოგმატურმა მარქსიზმმა შექმნა კომუნისტური აგიოგრაფია, როგორც ახალი რელიგიის (კომუნისტური რელიგიის) იდეოლოგია და აქცია იგი ახალი ადამიანის (საბჭოთა ადამიანის) ფორმირების (თუ ზომბირების) იარაღად. [...] ჩვენი მიზანია სისტემაში გავიაზროთ, დავინახოთ და შევაფასოთ ე. წ. პარტიული ლიტერატურა, როგორც ახალი დროის უღმერთო რელიგია და ამ იდეოლოგიის აგიოგრაფიული კანონით წარმოდგენის მცდელობა“ (მეტრეველი 2015: 6-7, 14).

9. საინტერესოა, რომ იმ მომენტში, როცა კ. გამსახურდია თავის რომან „მოთვარის მოტაცებას“ წერდა (დაახლ. 1932-1933), სტალინი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო აღზევებული და ჰიპოსტაზირებული „ხალხთა ბელადისა“ და, მით უმეტეს, „კაცობრიობის მამის“ რანგში, ანუ მისი ფიგურა ჯერ კიდევ არ იყო საკრალიზებული და ოფიციალურად ის ჯერ კიდევ ლენინის ჩრდილში იყო, როგორც ლენინის ხაზის უპირველესი გამგრძელებელი. ქორნილის ეპიზოდში (იხ. კარი პირველი, თავი „ჯიხვის ყანწე-ბი“) მწერალმა კარგად მიანიშნა სტალინის ხატისა და ფიგურის გარდაუვალი საკრალიზაციის დემონურ და ბოროტულ არსზე. და როგორც ჰანა არენდტი შენიშნავდა, ამ საკრალიზაციასა და ჰიპოსტაზირებაში დიდი და გადამწყვეტი წვლილი სახელმწიფო პროპაგანდისტულ მანქანას კი არ მიუძღვის, არამედ დეკლასირებულ მასას, რომლის ქტონურ არაცნობიერსა თუ ქვეცნობიერში მუდმივადაა „ბელადისა“ და რალაც საკრალურზე მოთხოვნილება (Arendt 1991: 502-507). სეფაში მექორნილე საზოგადოება სწორედ ასეთ დეკლასირებულ მასად ჩამოყალიბების პროცესშია: „ასე ლაპარაკობდა ფეხზე მდგარი თამადა (ნათავადარი და გაკულაკებული გვანჯ აფაქიძე – კ.ბ.), ხელში გავსილი ჯიხვის ყანწი ეჭირა. სიმღერები შესწყდა. მცირედი ჩქამიც არ ისმოდა დარბაზში. ყველა გაცეპული უსმენდა, არავინ იცოდა: ვისი სადღეგრძელო უნდა ყოფილიყო ასეთი ბნელი და გრძელი წინასიტყვი წამოწყებული. მე არა მგონიაო, დაასკვნა თამადამ, ამ სეფაში თუნდაც ერთი კაციც ერიოსო ისეთი შლეგი, ეს სადღეგრძელო რომ არ დალიოსო. სტალინის სახელის ხსენებისას სრული სიჩუმე ჩამოვარდა სეფაში (ხაზი ჩემია – კ. ბ.).

[...] თარაშს ჯერ კიდევ მხარი შეწყობილი არ ჰქონდა კახურისათვის, ამადაც ასე უცებ მოსწყვიტა მას წელი იმ პირველმა ჯიხვმა. ხედავდა: ძალიან უხერხული იქნებოდა მისთვის სტალინის სადღეგრძელოს არდაღევა. გული ერეოდა, თავბრუ ესხმოდა (ეს „გულისრევა“ უფრო აქსიოლოგიურია, ვიდრე ფიზიოლოგიური – კ.ბ.). [...] თამადამ ნამუყო და ჯიხვის ყანნი მარცხნიდან მარჯვნივ ჩამოატარეს. ასე რომ, უკანასკნელნი ჩალმაზი, არზაყანი და თარაშ ემხვარი დარჩნენ. ყველა უხმოდ და რიდიტ სვამდა ამ სადღეგრძელოს. არზაყანს გაუხარდა, ჩალმაზმა რომ უსიტყვოდ დალია. თავადაც ამოსწურა და ყანნი თარაშ ემხვარს გადაულოცა. თარაშ ემხვარ ზენამოიჭრა, მცირეოდენი მოსვა, სავსებით განითლდა, მეტი აღარ შემიძლიაო, მოიბოდიშა და ჯიხვის ყანნი მორიდებულად დაუბრუნა „ანგელოსისპირიან“ ზესნას“ (გამსახურდია 1990: 246, 247-248).

10. ხალხზე, მასებზე ზრუნვის დისკურსული არსი კარგად გადმოსცა გოეთემ „ფაუსტში“ (იხ. ტრაგედიის მეორე ნაწილის მეხუთე მოქმედება) საფრანგეთში ახლად აღმოცენებული ადრეული სოციალიზმის მოძღვრებებისა (ე. წ. სენ-სიმონიზმი) და ფაუსტის „აღმშენებლობითი“ საქმიანობის ირონიზებით. სწორედ ამ მოძღვრების კონტექსტში ათქმევინებს გოეთე ფაუსტს თავის ცნობილ ფრაზას – „და დაე ვიდგე თავისუფალ ხალხთან თავისუფალ მიწაზე“ (Goethe 2001: 203). აქ ირონიის საგანი ისაა, რომ ფაუსტის სიკვდილისწინა სიტყვებში საუბარია არა ინდივიდებით დასახლებულ თავისუფალი მოქალაქეების საზოგადოებაზე, რომლის ფარგლებშიც იმთავითვე გათვალისწინებული და გარანტირებულია მათი სამი ფუნდამენტური უფლება – სიცოცხლის, საკუთრებისა და თავისუფლების, არამედ საუბარია მონებად ქცეულ ხალხზე, ვისაც ტირანი, კოლონიზატორი და ტექნოკრატი ფაუსტი თავის სამფლობელოში მასობრივ გამწევ ძალად იყენებს საკუთარი ტექნოკრატიული ვნებების დასაკმაყოფილებლად, რომლის საბოლოო მიზანია ბუნების ბოლომდე დამორჩილება და კონტროლი. შესაბამისად, აქ ხალხის „თავისუფლება“ პოლიტიკურ თავისუფლებას კი არ გულისხმობს, არამედ ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას, რასაც ტრაგედიის მეორე ნაწილის მეხუთე მოქმედებაში მასშტაბურად ახორციელებს ფაუსტის მიერ დამონებული ათასობით ადამიანი ჭაობიანი სანაპიროების ამოშრობის, გიგანტური არხების გაყვანისა და ზღვის სანაპირო ზოლზე გიგანტური ჯებირების აშენების სახით, რომელთაც ზღვას მიწა უნდა გამოსტაცონ: „ო, რარიგ მალეღვებს ნიჩბების ზრიალი. ეს არის მასა („Menge“), რომელიც მეყმო. მიწა გამყარდა, ზღვის ტალღებს დაუდო ზღვარი, ზღვას შემოევლო ძლიერი გარსი“ (Goethe 2001: 202). ამ ვითარებაში ხალხს შრომა კი არ ათავისუფლებს, არამედ ეს შრომა მათ მონებად აქცევს. ფაუსტის ხალხზე „ზრუნვა“ და „მზრუნველობა“ კი მათ დამორჩილებასა და დამონებას გულისხმობს, ვინაიდან ფაუსტისა და ხალხის დისპოზიციამში ცალსახად იკვეთება ბატონის, მბრძანებლისა (Herr) და ყმის (Knecht), ბატონობისა (Herrschaft) და მონობის (Knechtschaft) დიალექტიკა: „ნაბრძანებია სწრაფად, უსწრაფესად ქმნა!“ [...] „რაც ჩავიფიქრე, სწრაფადვე უნდა აღვასრულო. მხოლოდ ბატონის სიტყვას აქვს ძალა. ჰა, დროზე, ადექით ყმებო, ქუდზე კაცი! დაავლეთ ხელი ხელსაწყობს, ნიჩბებსა და ბარს, რაც გამოვკაფეთ და გავიყვანეთ, შევინარჩუნოთ ხამს. და რომ აღსრულდეს დიადი საქმე კმა არს ერთის გონება და ათასის ხელი“ (Goethe 2001: 198, 201). („ფაუსტის“ ფინალურ სცენებთან დაკავშირებით დანვრისლებით იხ. ჩემი სტატია: „მოდერნული მგრძნობელობა გოეთეს „ფაუსტში“: მოდერნის ეპოქის დიაგნოზი და პროგნოზი ტრაგედიის მეორე ნაწილში“; ბრეგაძე 2018: 76-93).

დამონებანი:

- 60 *Ts'eli Didi St'alinis Dabadebidan (k'rebuli)*. Tbilisi: gamomtsemloba „sakhelgami“, 1940 (*60 წელი დიდი სტალინის დაბადებიდან (კრებული)*). თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1940).
- Arendt, Hannah. *Elemente und Ursprünge totaler Herrschaft*. München: Piper, 1991.
- Bregadze, K'onst'ant'ine. „Modernuli Mgrdznobeloba Goetes *Faust'shi*: Modernis Ep'okis Diagnozi da P'rognozi T'ragediis Meore Nats'ilshi“. Bregadze, K'onst'ant'ine. *Moderni da Modernizmi*. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2018 (ბრეგაძე, კონსტანტინე. „მოდერნული მგრძნობელობა გოეთეს „ფაუსტში“: მოდერნის ეპოქის დიაგნოზი და პროგნოზი ტრაგედიის მეორე ნაწილში“. ბრეგაძე, კონსტანტინე. *მოდერნი და მოდერნიზმი*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018).
- Eik, Jan. *DDR-Deutsch. Eine entschwundene Sprache*. Berlin: Jaron, 2018.
- Foucault, Michel. *L'ordre du discours*, Paris: Gallimard, 1972.
- Foucault, Michel. *Die Ordnung des Diskurses. Inauguralvorlesung am Collège de France – 2. Dezember, 1970*. Aus dem Französischen von Walter Seitter, München: Carl Hanser Verlag, 1974.
- Foucault, Michel. *Der Diskurs darf nicht gehalten werden für...* (S. 164-165); in: *M. Foucault, Schriften in vier Bänden. Dits et Ecrits, Bd II (1970-1975)*, hrsg. von D. Defert und François Ewald, Frankfurt am Main: Suhrkamp, 2002.
- Foucault, Michel. *Gespräch über die Macht* (S. 594-608); in: *M. Foucault, Schriften in vier Bänden. Dits et Ecrits, Bd III (1976-1979)*, hrsg. von D. Defert und François Ewald, Frankfurt am Main: Suhrkamp, 2003.
- Gamsakhurdia, K'onst'ant'ine. *Mtvaris Mot'atseba*. Tbilisi: gamomtsemloba “merani”, 1990 (გამსახურდია, კონსტანტინე. *მთვარის მოტაცება*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1990).
- Goethe, J. W. *Faust. Der Tragödie Zweiter Teil*, Stuttgart: Reclam, 2002.
- Groisi, Boris. *St'alinizmis T'ot'aluri Khelovneba*. Targmnes Lamara Shavgulidzem da Gaga Lomidzem. Tbilisi: gamomtsemloba „CCU Press“, 2017 (გროისი, ბორის. *სტალინიზმის ტოტალური ხელოვნება*. თარგმნეს ლამარა შავგულიძემ და გაგა ლომიძემ. თბილისი: გამომცემლობა „CCU Press“, 2017).
- Met'reveli, Saba. *K'omunist'uri Agiograpi*. Tbilisi: gamomtsemloba „mts'ignobari“, 2015 (მეტრეველი, საბა. *კომუნისტური აგიოგრაფია*. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2015).
- Stalin, I. B. *Sochineniya*. T. 11. M.: Gosudarstvennoe izdatel'stvo politicheskoi literatyry (Gospolizdat), 1949 (Сталин, И. В. *Сочинения*. Т. 11. М.: Государственное издательство политической литературы (Госполитиздат), 1949).

Konstantine Bregadze
(Georgia)

The Function of Ideological Discourse in the Official Texts of the Totalitarian Regime

(Based on the material in the collection dedicated to Stalin's 60 anniversary)

Summary

Key Words: Totalitarianism, the ideological Discourse, Stalin.

The present paper, based on the material published in the collection dedicated to Stalin's jubilee "60 years from the birth of great Stalin" (Collection...1940), analyses the ideological discourse and its function in the official texts of the Totalitarian regime. As a theoretical basis of the paper serves the *Discourse Theory* by Michel Foucault, represented in his work *The Order of Discourse* ("L'ordre du discours") (Foucault 1972; Foucault 1974).

According to Foucault *Discourse* is a consistent set of linguistic elements containing power, on the basis of which power systems or dominant political regimes (including totalitarian regimes), on the one hand control the masses and politically raise them and on the other hand neutralize and abolish other, undesirable discourses.

M. Foucault from the very beginning underlines, that the creator and afterwards controlling mechanism of the *discourse* lies in concrete institutions and systems (Foucault 1974: 6), meaning that *discourse* can be perceived as a *powerful* mechanism, which prohibit and neutralize *those* discourses which try to find their way beyond the existing institutions and systems. On the basis of the dominant discourses several procedures are permitted in order to abolish, neutralize, and prohibit *anti-discourses* – opposing or alternative discourses. These procedures are:

- a) prohibition;
- b) separation/isolation/marginalization
- c) permanent emphasis of possessing the *absolute truth* (*the will to truth*) (Foucault 1974: 7-15).

Thus, we get the condition when the infinite opposition of discourses in a political realm – according to Nietzschean analogy – where a discourse is always against another discourse. As the political space is always a reflection of violence and pathological striving towards power, linguistic discourses are effectively used as an instrument and mechanism, based on which "scientifically", rationally, directly, strictly and strongly are expressed though syntagmatic order derived from the fundamental logo centric narrative, united ideological construction and political and religious preaching, raising, "pastoralization" (according to Foucault's analogy) deriving from traditional episteme.

The paper researches which mechanisms are being used for the functioning of discourse in the articles and reports given in the collection (1940) dedicated to Stalin's 60th anniversary.

The very first pages of the collection, or rather, the headers clearly show the qualities and characteristics which can be traced in the so-called “discourse societies” (Foucault 1974: 27), in particular, from the doctrines accumulated and the importance and influence of institutions. From the very beginning it is obvious that the collection is done under the order of a concrete institution and under the principles of linguistic selection, filtration, using the accumulated doctrines within the two sectors of „discourse societies”: On the one hand, Marx-Engels-Lenin Institute and Political Publishing Agency and on the other hand, in the Communist (Bolshevik) Party. In both cases much attention is paid to the doctrine, which is revealed in the slogan on the first very page of the collection, “Proletarians of all countries unite!” This slogan is of a doctrinal nature, because it attracts the masses under the sole value of the proletariat, and unites them under this value and discourse masses are being ideologically brainwashed and their identity established. Consequently, the discourse-dogmatic word proletariat for all the authors of the collection becomes dogmatic representation and the Center of Truth. Such center of truth becomes the word – Stalin, which is found in the text of the presidium of the Supreme Committee of the USSR. Thus, both the authors and publishers of the collection agree that their discourse texts will work in the direction of the two doctrinal statements – proletariat and Stalin in the direction of extension and dissemination.

The doctrinal expansion and dissemination in the collection are primarily linked to Stalin’s political figure, Bolshevik-Communist Party, Proletariat, sacralization of Marx-Engels-Lenin, for which the authors use concrete discourse elements that on its own are relied on the tradition of religious harmony and eschatology. Taking into consideration this tradition, the collection also develops the dichotomic division of “believers” (for example, Bolsheviks, Proletariat) and “heretics” (for example, Mensheviks and Bourgeoisie), and also developed are the moral dogmas and “religious” practices through which “repentance of political sins” are possible. Therefore, all the texts in the collection have the same discourse mechanisms and elements based by which Stalin’s political figure, the Bolshevik-Communist Party, proletariat, sacralization of Marx-Engels-Lenin, and the political morals are highlighted. Namely:

a) Hypostasis, or regarding Stalin as a new Messiah and the new Lord, which is expressed by the words Father, Leader; Thus, the form of addressing Stalin in order to deepen the spiritual father-son relationship between the leader and the masses is always “you” (second person singular). For example, “The Central Committee of the Bolshevik Party on your 60th anniversary, greets you with pleasure, the great leader of the party and the soviet people” (Collection ... 1940: 7);

b) *Discourse of Eternity* – Stalin as beyond the spatial and time categories, with him being eternal;

c) *Mosean Discourse* – Stalin as a spiritual leader and teacher, who as a theoretician, creates new *true* commandments and dogmas for the world proletariat;

d) *Discourse of a caring father* – *The father*, who like the god of the Old Testament, cares for his “chosen nation” (the proletariat, the workers, the peasants, “Soviet peoples”), always stands besides them during the turbulent historic times, and is always supportive

and saves them: “Stalin cares delicately for his comrades and friends for the people. He like Lenin is moved by the deep love for man and is always struggling for their complete liberation, happiness” (Collection ... 1940: 71);

e) Proletariat – as a new “religious community”, new “believers”;

The Party – as a new “church”, which in this eschatological moment of history shows the proletariat the true way towards communism;

g) “Theorists”: Marx, Engels and Lenin as new “prophets”, “apostles” and “evangelists” who were not able to write about the “Promised Land” – establishment of Communism – vision and entrance of the Communist “Paradise” (“The Greatest Theorists – Marx and Engels – did not see the realization of their ideas in their life” Collection... 1940, 65);

h) Revolutionary struggle for proletariat and the underground work of Bolsheviks as new “religious” merit and new mission arising from the “catacombs”;

i) Bourgeois-reactionary forces, Mensheviks, Trotskyites, Social-Democrats, etc. – as new “heretics” and “sectarians”

j) separation from them, as an act of purification from sins;

k) industrialization, collectivization – as new “religious dogmas”;

l) Enabling Communism through socialism, as a new “eschatology”.

The first article in the newspaper *Pravda*, which is the first article in the collection, regards Stalin as a Messiah, the new Father-God image. This sacral hypostasis is coded in discourse denominations – *father*, *leader*. Most importantly, this hypothesis is dogmatized, legitimate and institutionalized by the fact that the article is published in the main and first of the many multi-million newspaper of the party (“church”), in the official printing press of the Communist-Bolshevik Party, *Pravda*, where the “new Church” *the Communist-Bolshevik Party* spreads across the whole Soviet Union its dogmatic “epistolary”: “Our vast country of 183 million people **loudly trumpets** the admiration of **the greatest human genius of modernity, the leader** and thinker, creator and architect of **a new life, the father** all the workers and those oppressed. [...] **All the world’s workers and peasants are looking up to Stalin**, he is their **hope**, he is their **future!** Stalin is **our happiness!**”.

Thus, in the official ideological texts of the totalitarian regime, the discourse clearly works in the direction of the a priori *sacralization* of the political leader: namely, the political leader will from the spatial time of history moves towards the archetype image of the *father* and moreover acquire all the features of the *Father-God*: he is the basis of existence, God the creator, He is the Teacher, with him and in him is the Truth, he is Almighty, the is the listener, and the healer. Consequently, the political leader becomes the object of “prayer”, worship and sacrifice. Because of this purpose, the totalitarian regime and its subordinated institutions (party) and the state apparatus are principally based on traditional religious paradigm and discourse (and this orientation is a priori) and introduces *new* religious content – secularized or secularized, which is a fundamental discourse of the ideology of the totalitarian state.